# სახალხო გაზეთი

№ 759 სამშაბათი, 27 ნოემბერი 1912 წ. № 759

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4-მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. სადამოთი 5—7 საათ.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება. დაბრუნდება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ. „ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## კანტორისაგან

1912 წ. პრემია „გრდემლის“ მისაღებად უკანასკნელი ვადა არის მომავალ წლის 1 იანვარი, ამიტომ ვთხოვთ ყველას, ვისაც პრემია ერგება, ამ ვადამდე უსათუოდ მოიკითხონ, რადგანაც 1 იანვრის შემდეგ პრემია აღარ შეენახებათ და ყოველნაირი მიწერ-მოწერაც მიმდინარე წლის პრემიის შესახებ **უყურადღებოდ იქნება დატოვებული.**

## სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

1 გიორგობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 1 მ. და 50 კ.

თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლ. ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისსათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრულითვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფული მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. სამთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობს შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

ხუთშაბათს, 29 ნოემბერს,

### ქ-ნ ელ. ჩერქეზიშვილის საბენეფისოდ

ქართული დრამატ. საზოგად. დასის მიერ წარმოდგენ. იქნება:

ვასილ ალ. აბაშიძის მონაწილეობით

პირველად ქართულ სცენაზე ორიგინალური პიესა **გედოვლათი,** პიესა 4 მოქ. დ. ნახუცრიშვილისა.

მაკას როლს შეასრულებს ქ-ნი ელ. ჩერქეზიშვილისა.

2) **დედის მთა,** მხიარული ვოდევილი 1 მოქ. ვ. გუნიასი,

კნ. რიფსიმეს როლს შეასრულებს ქ-ნი ელ. ჩერქეზიშვილისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი: აბაშიძე, ლოლუა, შოთაძე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი; ბ-ნნი; აბაშიძე, აბდუშელი, ალქსიძე, გუნია, გედევანოვი, ზარდალიშვილი, მეუხი, მატარაძე, მგალობლიშვილი, სარაული, ციციშვილი, შალიკაშვილი.

დასაწყისი საღ. 8 საათზე. ადგილ. ფასი საბენეფისოა.

ანონსი: კვირას, 2 დეკ., წარ. იქნება 1. „სიმხინჯე“, დრ. შიუკაშვილისა; 2. „უბედური დღე“, მხიარ. ვოდ. ვ. ბალანჩივაძისა.

1578 რეჟისორი ვლ. შალიკაშვილი ქართული დრამ. საზოგად. ადმინისტ.

### ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან

ძმანიშვილების ქუჩ., საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტეხის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **დავითაშვ** რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.<br>**მანსვეტაშვილი** გ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>**მაღალაშვილი** გ. გ. (სამშაბ. და შაბათ დღით) 10—12.<br>**მიქელაძე** შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფიდორავა** ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ქირურგიული სნეულებანი. | **მარკოვი** გ. ლ. კონსულტანტი (ყოველ დღე 11½—12½)<br>**მელიქიშვილი** ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.<br>**ფურცელაძე** რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1. |
| ქალთა და საშობიარო სნეულებანი. | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირბილისა** ლ. (ყოველ დღე) 11—12.<br>**თაკაიშვილი** ე. (ყოველ დღე) 1—2.<br>**მელიქიშვილი** ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.<br>**ხუნდაძე** ი. (ყოველ დღე) 12—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | ექ. **ქალი ბახტაძე-დედაბრიშვილისა** (ყოვ. დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს.<br>**მიქელაძე** შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფიდორავა** ე. გ. (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. | **გედევანიშვილი** მ. ა. (შაბათობით) 10½—11.<br>**დავითაშვილი** რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.<br>**ფონდოევი** ს. (ყოველ-დღე) 1—2 ს. |
| ყურის, ყელის | **ათენიანცი** ა. (ყოველ დღე) 12½—1½<br>**თერემბოვსკი** ნ. ს. (ყოველ დღე) 2½—3. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი** გ. ს. (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½. |
| კანის, ვენ. | **დიასამიძე** ან. (ყოველ დღე) 1—1½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია სისხლ. გასინჯვა, ათა შინ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები და კოსხურიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ „914“ და წ. ის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. წ. 1010.

## „ახალი კლუბის“ მამასახლისთა საბჭო

აცხადებს კლუბის წევრთა და მუდმივ სტუმართა საყურადღებოდ, რომ

**1913 წ. საწევრო ბილეთების განახლების ვადა**

განისაზღვრება 20 ქრისტეშობისთვემდე 1912 წ.

ბილეთები მიეცემა „ახალი კლუბის“ კანტორიდან ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღ. 2 ს.-დე და საღ. 9 ს.-დან შუაღამის 12 ს.-დე. 1661

შეიძლება დაკვეთა:

### ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

**ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,**

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

**ფასი 8 მანეთი,** რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად, 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.

ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან
ფოთში—იონა მეუნარგიასთან.
თელავში—თამარ აბაშიძესთან.
სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.
ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.
ბაქოში—ილია აგლაძესთან.
სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.
ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.
ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.
ერევანში—ელენე ვირსალაძესთან

ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან. გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზავნის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. 1153

### ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი წიგნები.

| | |
|---|---|
| ი. გოგებაშვილისა ბურჯი ეროვნებისა . . . . . 20 კ. | კრილოვის არაკები . . . 50 „ |
| „ რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური წერილები 1 მ. | კლდიაშვილის მოთხრობანი 30 „ |
| „ საარაკო თავ-გადასავალი ტახტის მემკვიდრისა . 10 კ. | ნაწყვეტები პოლ. ეკონომიიდან 50 „ |
| „ ქართველთა მეფე გლეხის ქოხში სტუმრად . . 5 კ. | რუს.-ქართ. ლექსიკონი ჩუბ. 2 მ. 40 „ |
| „ Методическое руководство для учителей и учительницъ 40 კ. | რობინზონ კრუზო . . . 30 „ |
| ყაზბეგი ალ. თხზულებანი 1 მ. 20 კ. | ახლად მიღებული წიგნები: |
| გულივერის მოგზაურობა . 30 „ | Къ Матеріаламъ по исторіи и древн. Грузіи и Гос. Джавахов. — 25 |
| ერისთავი რ. თხზულებანი წ. II 40 „ | Крестьянск вопросъ въ Закавказьѣ Авaліани . . 2—50 |
| თხზ. ვაჟა-ფშაველასი. . . 1 მ. — | О древне-грузинскихъ лѣтописяхъ XI стол. Какабадзе . 35 „ |
| ვეფხის ტყაოსანი . . . . 60 „ | Кавказскіе депутаты въ 3 еи Гос. Думѣ . . . . . . 50 „ |
| | შავი ქვა. წუწუნავასი. . . 10 „ |

ადრესი ტელეგრამისათვის: Тифлисъ Грамотность. 1141.

გამოსულია და იყიდება

**ნ. შიუკაშვილის**

პიესა **„მემოგრობა“,** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

**წამლობა ჭლექისა** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულოზ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. წამლობა კიდევ რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით. იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **სოლოლაკი,** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთხ.). ტელეფ. 7—92. 777

### საბურთალოზე

**მშვენიერ ალაგას,** ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის პირდაპირ ახლოს, დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020

### ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ. კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½.

**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშ. ბ თობით ხუთშაბათობით და შაბათობით 11—11½ საათ.

**ნ. მ. მელიქიშვილი** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**ივ. გომართელი.**—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური-ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**წამლობა „606“-ით.** 1015

ელექტრონისა და რენტგენის

**სამკურნალო**

**მიხ. გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა. ყორღანოვის ქ № 20. წ. 1022

**ნაყიც-ვექილ. თანაშ.**

**გიორგი პავლეს ძე გორდეზიანი**

**გადავიდა** ჩერქეზიშვილის ქუჩაზე (ავჭალის ქუჩა), № 47. 829

**ექიმი ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 4—5 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

**ექიმი** კბილისა და ღრძილებისა **პ. ა. ქაჯაია**

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151. დიდუბე 1049

### სამტრედიაში

**ექიმი ე. ძ. აბულაძე** ჩამოვიდა და იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე. აგრეთვე **სწამლობს 606-ით.** 1576

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6.

### სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქ.-ზე, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**ახპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

**ბრგუთინსკი,** შინაგ., ბავშვ. ყ.-დღ. 1½ ს.

**ახვლედიანი** შინაგან სნეულ. საბავშ. სამშაბათ. ხუთშაბათ. შაბათ. საღამოს 4—5 საათ.

**ბოჟოვსკი.** შინაგ. საბავშ. ორშაბ. ოთხ. შაბ. პარასკევ. საღამ. 4—5 ს.

**მონსე.** ბავშ. და შინაგ. ავად ორშ., ოთხშ და პარასკ. 2—3 საათ.

**ნოვიცკი.** ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს.

**კალამკაროვი.** ქალ. ავად., ყ.-დღ. 12—1 საათ.

**უკლადნიკოვი.** შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—12½

**რუდენკო.** შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

**ვესელოვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 3—4 საათ.

**ერმოლაევი** ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.

**იოსელიანისა** ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.

**ბესსერი** შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.

**ბაგდოევისა,** კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**ლიმონი.** კბილ. ყ.-დღ. 11—12 ს.

**შამაში,** ქირურგ. ავადმყ ყ.-დღ., კვ. გარდა 1½ 2½ ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს**

**საღამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინდაწინვე ჩაწერით. 366.

**ექიმი ს. ი. მძელიშვილი** იღებს ავადმყოფებს შინაგანულ და ვენერიულ ავადმყოფებს, დილით 9—12 ს. და საღამოს 6—8 ს. დიდუბე, საგურამოს ქუჩ. № 21, სახლი ხრამელაშვილისა. 1411

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—4 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3. ს. გა შვილისა.

**ექიმი ი. ე. ჯაში განაგრძობს** ავადმყოფ. მიღებას დედათა და სადოსტაქრო ავადმყოფ. ექიმობა ბავშვების ძვალთა ჭლექისა ფიზიკურ-მექანიკურ საშუალებ. თ. დილის 11—1 ს. საღ. 5—8 ს. დიდი ვანქის ქ. № 6 ტელეფონი 1107. 791

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს საშარდე ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით** იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ., № 94,** საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 530

**ექიმი ი. კ. აბაკელია** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4½—6½ საათ. **ელისაბედის ქ. № 7,** ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. 789

**ექიმი ქალი დ. გ. საყვარელიძე.** იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბავშვო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5—6 საათამდე. კიროჩნის ქუჩა, № 9. 595.

**ექიმი პ. არდაზიანი** შინაგან და ბავშვებ. ავადმყ (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-კატარი) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა № 3. 11 ... საღამ. 5—7. 1045.

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა


## ქართული პრესა

ქართულ ჟურნალ-გაზეთობას კიდევ ერთი მოძმე მიემატა—„სასოფლო გაზეთი“. თუმცა ამ ორგანოსთვის გაზეთი დაურქმევიათ, მაგრამ მას ჟურნალის ხასიათი აქვს. როგორც სათაურიდანაც დაინახავს მკითხველი, ახალ ორგანოს აზრადა აქვს სოფლის ინტერესებს ემსახუროს.

ზოგიერთი განსაკუთრებული პირობების გამო,—სწერს თავის პირველ მეთაურში „სასოფლო გაზეთი“,—ჩვენს სასოფლო მეურნეობას დიდი მომავალი აქვს. ერთი უმთავრესი ამათგანი ის არის, რომ ჩვენ მზათა გვაქვს დიდი ბაზარი, რომლის გამოყენება, ანუ უკეთ რომა ვსთქვათ, დაპყრობა ჩვენი სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებით ადვილი საქმეა. უზარმაზარი რუსეთი სწორედ ასეთი ბაზარია კავკასიის სამეურნეო ნაწარმოებისთვის“.

ამისთვის კი უპირველესად ყოვლისა გაზეთს საჭიროდ მიაჩნია გაუმჯობესება თვით სასოფლო მეურნეობისა.

„ჩვენი სოფლის კულტურულ და ნივთიერ წინსვლას ძალიან უშლის ხელს ბევრი მავნე ძველი ჩვეულებანი, ტრადიციები, ცრუმორწმუნეობა. ივი აფერხებს მის გონებრივ და ეკონომიურ განვითარებას. „სასოფლო გაზეთი“ შეებრძოლება ყოველივე ამას, რომ მით გზა გაუკაფოს სოფლად უფრო გონიერ ცხოვრების დამკვიდრებას“.

დასასრულ კი ახალი ორგანო ამნაირად ახასიათებს თავის მიმართულებას:

„ერთი სიტყვით, „სასოფლო გაზეთი“-ს მიზანია, ემსახუროს ჩვენი სოფლის ეკონომიურ, გონებრივ და კულტურულ აღორძინებას; მისი დანიშნულებაა ხელი შეუწყოს მომავალ ძალების შექმნასა და გაძლიერებას“.

* *
*

კახეთის რკინის გზის ბედ-იღბალით დაინტერესდა ადგილობრივი პრესა. ჟურნალი „კლდე“ კვლავ უბრუნდება საკითხს, სასარგებლოა თუ არა ჩვენთვის კახეთისა და სიღნაღ-ბაქოს რკინის-გზათა გაერთიანება ერთს საზოგადოებაში, და, სხვათა შორის, სწერს:

„არ არის ისეთი მოსაზრება, რომელიც ამართლებდეს შეერთებას და მით უფრო საკვირველია ამ შეერთების სურვილი პ. ი. თუმანიშვილისაგან, რომელიც, როგორც თავად-აზნაურობის წინამძღოლი, უნდა იცავდეს თავ-გამოდებით მის (ე. ი. თავად-აზნაურობის) ინტერესებს, დარაჯად ედგეს მის ქონებას. და ეხლა, როდესაც სწყდება ასეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი,—როდესაც საზოგადოება აღელვებულია რკინის-გზის ბედით, იგი არა მარტო არა გრძნობს მოვალეობას პასუხი გასცეს, თავი იმართლოს, ან მედგრად შეებრძოლოს ხიფათს,—ის სდუმს, და თვით იმ ფაქტით, რომ წინამძღოლია თავად-აზნაურობისა, აფერხებს სხვებსაც. მართლაც, წარმოიდგინეთ ის არა ნორმალური მდგომარეობა, როდესაც პ. ი. თუმანიშვილს, ჯერ ერთი, დაინტერესებულ პირს და, მეორეც, ამ საქმის ჩამშლელს, ბედმა არგუნა წინამძღოლობა იმ თავად-აზნაურობისა, რომელიც წინააღმდეგია იმისი საქციელისა და ზრახვისა, როდესაც მთელი საზოგადოება ერთხმად იზიარებს მის წინააღმდეგს აზრებს, გამოთქმულს, ჩვენდა სასიხარულოდ, არა მარტო ჩვენგან, არამედ მთელი ჩვენი პრესისაგან, და თვით „ზაკავკ. რეჩ“-განაც კი.

„ზაკავკ. რეჩ“-ს „კლდე“ ტყუილად იხსენიებს. ამ გაზეთში ბ-ნი გ. გვაზავა არამც თუ ამართლებს თავ. პ. ი. თუმანიშვილის საქციელს, სცდილობს კიდეც დაამტკიცოს, რომ შეერთება კახეთისა და სიღნაღ—ბაქოს რკინის გზებისა ერთს საზოგადოებაში ძალიან სასარგებლოა ჩვენი ქვეყნისთვის. ბ-ნ გ. გვაზავას მიერ მოყვანილი მოსაზრებანი და საბუთები იმდენად საყურადღებო და ამასთანავე იმდენად მრავალ რამის მომასწავებელია, რომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგ, როდესაც ბ-ნი გვაზავა თავის წერილების ბეჭვდას დაასრულებს, ვრცლად შევეხოთ მას.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

დიდ სიყვარულს დიდი სიმძულვარე მოსდევსო, ამბობს ქართველი ხალხი. შეიძლება ითქვას უკუღმაც—დიდ სიმძულვარეს დიდი სიყვარული მოსდევსო. სწორედ ეს დაემართა კადეტებს და ოფიციოზ „რეჩ“-ს. ყველას კარგად ახსოვს საარჩევნო წინასწარ კრებაზე როდიჩევსა და მილიუკოვს რა ამბავი ჰქონდათ, მისთან ასწორებდნენ ოქტომბრისტების პოლიტიკას, იმათ წინაამდეგ ნაღველში ნარევ გესლს ანთხევდნენ. ოპოზიცია და ოქტომბრისტები ორი პოლიუსი იყო, ორი პარალელური ხაზი რომლის შეერთება ყოვლად შეუძლებელი იყო. ეხლა კი ოქტომბრისტების სიმძულვარით ალსავსე „რეჩი“ გამოცდილ მოარშიყესავით ოქტომბრისტების წინ მუხლებზე დაეცა და სიყვარულს უცხადებს:

„შესაძლებელია ოპოზიციის და ცენტრის ტაქტიკის შეერთება, შედუღება. შესაძლებელია ოპოზიციისა და ცენტრის თანხმობა სხვა და სხვა საკითხში, რაც დიდებულ მანიფესტიდან გამომდინარებსო. ოღონდ ოქტომბრისტები თავისუფალნი დარჩნენ, გამოიჩინონ ერთგულება თავმჯდომარის აღთქმისა და სიტყვებისადმი; მაშინ ოპოზიციისა და ოქტომბრისტების გზა მრავალ შემთხვევაში ერთი გზა იქნება, გინდაც წინასწარი მოლაპარაკება არც კი იყოს გამართული“.

რა მოხდა—კადეტების გამარჯვება თუ ოქტომბრისტების გამარცხენება? რითი ჰხსნით იმ გარემოებას, რომ კადეტები საალერსო სიტყვებს ჰხარჯვენ იმ ოქტომბრისტებისათვის, რომელთანაც მრავალ მნიშვნელოვანი ჩურჩული აქვს გამართული კრუპენსკის და რომელთაც ბალაშოვი იმავე სასიყვარულო სიტყვებს ეუბნება, რასაც კადეტები ეუბნებიან?..

აქ უკვე მზადდება ნიადაგი სოლიდარობისა, ტაქტიკის შეერთებისა არა მარტო კადეტებსა და ოქტომბრისტებს შუა, არამედ კადეტებსა და კრუპენსკ-ბალაშოვის შორისაც. ცვალებადი ხართ, კადეტებო!

# ახალი ამბავი

## ტფილისი

**პოლიტეხნიკუმი ტფილისში.** ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელმა თ-დ 3. ი. თუმანიშვილმა ქალაქის გამგეობას აცნობა, რომ ის 10,000 მან., რომელიც 1907 წელს თავად-აზნაურობამ ტფილისის უმაღლეს სასწავლებლის სასარგებლოდ გადასდო, შეტანილ იქნება თავად-აზნაურთა 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში; ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შემდეგ (მომავალ მაისის კრებაზე) ფული შეტანილ იქნება პოლიტეხნიკუმის მთავარ კომიტეტში.

— როგორც ვწერდით, ქალაქის საბჭოს საუნივერსიტეტო კომისიამ შუამდგომლობა აღძრა ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურობის წინაშე, რათა უმაღლეს სასწავლებლისათვის აღქმულ 10,000 მან. გარდა კიდე სხვა ფულიც გადასდოს მომავალ პოლიტეხნიკუმის სასარგებლოდ. გუშინ თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელმა ქალაქის მოურავს აცნობა, რომ ეს შუამდგომლობა განსახილველად წარედგინება თავად-აზნაურთა მომავალ საზოგადო კრებასაო.

დაიბეჭდა და ცალკე წიგნად გამოვიდა ქალაქის გამგეობის 1911 წლის საფინანსო ანგარიში, რომელსაც საბჭოს სარევიზიო კომისია ამ დღეებში განიხილავს და შემდეგ ქალაქის საბჭოს წარუდგენს.

26 ნოემბერს მე-16 გრენადერთა მინგრელსკი პოლკს ავლაბრის ტბასთან, სოფელ ოლლაშენისა და ორხევის მახლობლად, **საცდელი სროლა** ექნება.

24 ნოემბერს, დილის 10 საათზე, ოლქის სასამართლოს შენობაში მიყვანილი საგუბერნიო საპყრობილის ტუსაღი არსენ მარკოზიანცი, რომელსაც სვიმონ კურჩხიშვილის გაძარცვა ბრალდება, უცბად დაიმალა. ოლქის სასამართლოს შენობას პოლიციელებმა ალყა შემოარტყეს და მარკოზიანცი სასამართლოს ეზოში, ერთს ხის ფარდულში იპოვეს.

ტფ. პოლიცმეისტერმა ხელმეორედ გასცა ბრძანება, რათა პოლიციელებმა **სასტიკი თვალყური ადევნონ მოსწავლეებს**, რათა გოლოვინისა და მიხეილის პროსპექტზე სეირნობის დროს უწესოდ არ მოიქცნენ.

**„ანარქისტ-კომუნისტები“.** პოლიციის ცნობა გადმოგვცემს: 23 ნოემბერს მაძებარ პოლიციის აგენტებმა ტფილისში შეიპყრეს თელავის მცხოვრებნი ძმანი ვართან და პეტრე სერგეს ძენი სტეფანოვები, რომელნიც „ანარქისტ-კომუნისტების მებრძოლ შტაბის“ სახელით სხვა და სხვა პირს მუქარის წერილს უგზავნიდნენ და ფულსა სთხოვდნენ. სტეფანოვები მეტეხის ციხეში გაგზავნეს.

**თავის მოკვლის განზრახვით** 24 ნოემბერს თავის ბინაზე (მოსკოვის ქ., 18) საწამლავი დალია 37 წლის ქალმა უსდინია დიმიტრის ასულმა სმიშლიაევისამ, რომელიც სამკურნალო დახმარების აღმოჩენად მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

რედაქციამ მიიღო ახალი სომხური წიგნი ატრპეტისა **„ვიშაპამაირ“**. წიგნში ჩართულია 16 სურათი, შეიცავს 48 გვერდს, კარგ ქაღალდზეა ნაბეჭდი და ერთ აბაზად ღირს.

24 და 25 ნოემბერს ტფილისში 103 უპასპორტო შეიპყრეს.

## საზოგადოებანი და კრებები

**რომანოვთა მეფობის იუბილე.** დღეს, საღამოს 8 საათზე, ქალაქის გამგეობის შენობაში შეერთებული კრება ექნებათ ქალაქის გამგეობასა და ქალაქის საბჭოს ყველა კომისიის თავმჯდომარეებს. კრებამ უნდა გადასწყვიტოს საკითხი: რითი აღნიშნოს ქალაქის თვითმმართველობამ რომანოვთა გვარეულობის 300 წლის მეფობის იუბილე.

## სასამართლო

**შუა აზიის რკინის გზაზე ნახევარ მილიონ მანეთის გატაცების საქმეს**, რომელშიაც, სხვათა შორის, ოზურგეთის მაზრის უფროსად ნამყოფი კაპიტანი ერისთოვი ურევია, ტფ. სამოსამართლო პალატა 21 დეკემბერს გაარჩევს.

**რედაქტორის საქმე.** 30 ნოემბერს ტფ. სამოსამართლო პალატა წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით „სახალხო გაზეთი“-ს რედაქტორ ნ. ს. კურდღელაშვილის საქმეს გაარჩევს. რედაქტორი სამართალში მიცემულია სისხლის სამართლის მე-129 მუხლის ძალით გაზეთში დაბეჭდილ წერილისათვის სათათბიროს არჩევნების შესახებ. ბ-ნს კურდღელაშვილს იცავს ნაფიცის ვექილის თანაშემწე შ. ვ. ალექსი-მესხიშვილი.

**ტფ. სასულიერო სემინარიის ეკონომზე თავ-დასხმის საქმე**, რომლის გამოც ამავ სემინარიის მოსწავლენი არიან სამართალში მიცემულნი, ტფ. ოლქის სასამართლო 11 დეკემბერს გაარჩევს.

## სომხეთა ცხოვრება

**ანანოვის საქალებო სასწავლებლის** სამზრუნველოს წევრებად არჩეულ იქნენ: ა. ს. ბაბოვი, თავ. ი. არღუთინსკი, ბ-ნი ტერ-სტეფანოვი და ქ. აბეგიანი.

## ქუთაისი

ქუთაისში არსდება ამხანაგობა, რომელსაც განუზრახავს **სამეურნეო მაღაზიის** გახსნა. მაღაზიაში ექნებათ: ყოველგვარი სამეურნეო იარაღები, თესლეულობა, ნერგები და ყვავილების განყოფილება, სადაც შეიძლება თაიგულებისა და ცოცხალ ყვავილთა გვირგვინების შეკვეთა. ყველაფერი გაიყიდება შეღავათიან ფასად. სახალხო უნივერსიტეტის თაოსნობით 15 დეკემბრიდან 10 იანვრამდე ქუთაისში იწარმოებს **საკოოპერაციო კურსები** შემდეგის პროგრამით: მომხმარებელი, საკრედიტო და სამეურნეო კოოპერატივების მოწყობა, ანგარიშების წარმოება, საკოოპერაციო კანონმდებლობა უცხოეთსა და რუსეთში, სანიმუშო წესდებანი, კოოპერაციის კლასიფიკაცია, კოოპერაციის უმთავრესი ფორმები და სხვა. კურსებზე დასწრების მსურველთ უნდა მიჰმართონ 10 დეკემბრამდე შემდეგ მისამართით: ქუთაისი, მომხმარებელი საზოგადოება „პროგრესი“.

23 ნოემბერს ტფილისის სამოსამართლო პალატის სესიამ გაარჩია ფარნა გეგელიას საქმე. გეგელიას ბრალდებოდა ოდიშში აგრარიულ მოძრაობის ხელმძღვანელობა გადაწყვეტილი ჰქონდა ექვსი წლის კატორღა. პალატამ გეგელია გაამართლა. ბრალდებული თავს თვითონვე იცავდა.

ამავე სესიამ 23 ნოემბერს გაარჩია ბუია რატიანის (სტუდენტის) საქმე. რატიანს ბრალდე'ოდა სხვებთან ერთად ს. სალხინოში მიურატის პრინცესაზე თავდასხმა ძ იარაღის წართმევა. რატიანს სასამართლოსაგან ყოველი ღირსების აყრა ჰქონდა მისჯილი და რამდენიმე წლით გამასწორებელი რაზმი. პალატის სესიამ რატიანი გაამართლა.

გიორგი ჯიმშეშვილს ანდერძით დაუტოვებია: 200 მანეთი ხონის სავაჟო პროგიმნაზიისათვის, 3000 მანეთი კუხში სავაჟო სკოლის ასაგებად და რაც დაჯდება, ჩემდენი თანხის გაღება, თავის სოფელში ქსენონის დასაარსებლად.

მოკლე დროში, ხონში გაასამართლებენ ილია ჭავჭავაძის განდეგილს. გასამართლებაში მონაწილეობას მიიღებენ ბ-ნი ვლ. ბაქრაძე და მ. არსენიძე. გასამართლებამდე ილ. ბახტაძე წაიკითხავს დაწვრილებით ბიოგრაფიას განსვენებულ ივანე შარაშიძისას და გააცნობს საზოგადოებას იმ მიწერ-მოწერას, რომელიც შარაშიძეს სკოლებსა და სწავლა აღზრდის საქმეზე იანოვსკისთან, იაკობ გოგებაშვილთან და სხვებთან ჰქონია. ილ. ბახტაძე შეეხება აგრეთვე პრესის აზრს ხონსა და ივ. შარაშიძეზე გამოთქმულს სხვადასხვა დროს.

ქუთაისში ხმა გავრცელდა. თ. ვლ. მიქელაძე ცენტრალურ ბანკში აღარ მსახურობსო. ამ ჟამად იგი სცდილობს თავისი მამული, სადაც მან სცდელი მინდორი მოაწყო, ვითომ მცხოვრებთა სასარგებლოდ, მთავრობას მიჰყიდოს, რის შემდეგ იგი დაბრუნდება ტფილისში საცხოვრებლადაო.

როგორც გავიგეთ, ქალაქის გამგეობის წევრად ქართულ გიმნაზიის მასწავლებელს, სიმონ ქვარიანს ასახელებენ.

## ქიზიყი

ნოემბრის პირველ კვირაში, ვანო ოტიაშვილს **მოჰპარეს** ქოტორში, კარგი ცხვრის ქოსმენი.

18 ნოემბერს, ქ. სიღნაღში, ალაზნის ქ. გასპარ ზურაბოვს **სამზარეულო გაუტეხეს** და გაიტანეს ორი ტომარა მატყლი, ღირებული 70 მ.

ნოემბერს, ნუკრიანში ვანო ხატიაშვილს **სახლი გაუტეხეს** და მთლად დააცარიელეს, რაც კი მოახელეს სახლში.

ამავე ღამეს, ნუკრიანში ოგანოვს და გ. თამაზოვს **მოჰპარეს** ერთი ინდაური და ორი ქათამი. მეორე დილით მათი თავები-ღა იპოვნეს თავლაში.

10 ნოემბერს, ძველ-ანაგას **ძაღლმა დასცოფა** ნიკა ტალიაშვილი და მისი ძმის-წული 13 წლისა რომელმაც სტაცა ხელი დი მუშტით იქვე მოჰკლა ძაღლი. (ხმა კახ.)

## ბაქო

ბაქოში არსდება ახალი საზოგადოება, რომლის სახელწოდება იქნება **„ქართული სამხატვრო-სალიტერატურო წრე“**. წრის მიზანია, შეაკავშიროს ქართველი მუშა. მოსამსახურენი. გააცნოს მათ სამშობლო ლიტერატურა და საზოგადოდ, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება არსებულ პირობებში, დააკმაყოფილოს მათი სულიერი, კულტურული მოთხოვნილებანი. წრის წესდება უკვე შეიმუშავეს დამფუძნებლებმა და წარუდგინეს დასამტკიცებლად ბაქოს ქალაქის უფროსს.

## სოფლად

**ლანჩხუთი.** 24 ნოემბერს 12 საათზე. ს. აცანაში ადგილობრივმა გ. ჩხაიძემ **მოკლა** თავისი ჯვარ დაუწერელი ცოლი და სასიკვდილოდ დასჭრა წლი-ნახევრის შვილი. გ. ჩხაიძე ადგილობრივმა ბოქაულმა იგი შეიპყრო.

# ჟურნალისტის დღიური

99.

**კიდევ ნაციონალიზმზე.**

ჟურნალი „კლდე“ განაგრძობს ჩვენთან კამათს ნაციონალიზმზე. ჩემი მიზანი იყო, საკამათო საგნის გამოსარკვევად, აღმომეჩინა განსხვავება ნაციონალიზმსა და ეროვნულ ინდივიდუალობის დაცვის შორის. სანამ ეს განსხვავება ცხადი არ გახდება, ჩვენი თვალსაზრისით ბუნდოვანად დარჩება. ორ-გვარი თვალსაზრისით შეიძლება ვუცქიროთ ერს: ერი შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ როგორც უკანასკნელი მიზანი, როგორც ისეთი რამ რაც თავის თავად წარმოადგენს მიზანს. მეორის მხრით, ერი შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ, როგორც განსაზღვრულ ხასიათის კულტურის მატარებელი წრე. ფიგურალურად რომა ვსთქვათ, ამ შემთხვევაში ერი არის ჭური, რომელიც კულტურული შინაარსით უნდა აივსოს. კულტურა მე მესმის ფართოდ; ვგულისხმობ ეკონომიურ, სოციალურ და სულიერ მოვლენათა სრულს ჯამს.

თუ პირველის თვალსაზრისის მიხედვით შევაფასედ ყველაფერი მოვლენანი, მაშინ თვით ეს მოვლენანი სხვანაირ ღირებულებას გადაიქცევიან. სოციალური, ეკონომიური საკითხები განხილულ იქმნებიან არა თავის თავად, არამედ იმისდამიხედვით, თუ რა ნაციონალური ღირებულება აქვთ მათ. ლოღიკური დასკვნა ამნაირ აზროვნებისა მებრძოლი, აგრესიული ნაციონალიზმია. დღეს თუ, მაგალითად, ტერიტორიის საკითხი ერის ყოფნა არ ყოფნის საკითხადაა გადაქცეული, ხვალ, ცხოვრების უკეთეს პირობებში, ნაციონალისტურ აზროვნების გამეფების უმალ, იგი აგრესიულ პოლიტიკის საგნად გადაიქცევა. ესევე შეიძლება ითქვას ეროვნულ ცხოვრების სხვა ფაქტორებზე.

ამნაირს თვალსაზრისს ჩვენ უპირდაპირებთ მეორეს: ერი ჩვენ გვესმის როგორც განსაზღვრულ კულტურის მატარებელი წრე თუ ერს რაიმე ობიექტიური პირობები ხელს უშლის კულტურულ ძალთა თავისუფალ განვითარებას, ეს პირობები უნდა მოისპოს.

ამაზე „კლდე“ გვიპასუხებს: „ჯერ ერთი ცნება „ნაციონალიზმს“ იმდენი სახე აქვს ეხლანდელ დროში, რომ უუპროგრესიულიდგან უურეაქციონურ შინაარსამდე შეიძლება შიგ მოვათავსოთ, და მეორეც, განა „სახალხო გაზეთმა“ არ იცის, რომ დღეს კამათი სიტყვის და ცნების შინაარსზედ კი არ უნდა იყვეს, არამედ ის **შინაარსი** უნდა გამოიძებნოს, რომელსაც ჭეშმარიტი სახელი დაერქვას. ეს შინაარსი კი ჩვენ გვესმის, როგორც ყოველმხრივი განვითარება ეროვნების ძალთა ეკონომიურ, სოციალურ და პოლიტიკურ სფეროში. ჩვენ გვსურს ჩვენი ეროვნული ფიზიონომიის დაცვა quand même, ე. ი. არა მარტო პირდაპირ მოტანილ იერიშისაგან, არამედ ყოველი უჩინარი, ჩუმი დარღვევისაგანაც, წარმოსდგება იგი გარეშეთაგან, თუ რენეგატებისაგან“.

„კლდე“-ს ჰგონია, რომ სოციალისტურ პრინციპებისაგან განთავისუფლება უზრუნველ ჰყოფს მის თავისუფალ მოქმედებას ამ ნიადაგზე, სოციალიზმი კი ხელ-ფეხს შეუბორკავს. „ამიტომ ჩვენ არც სოციალისტები ვართ, რადგანაც სოციალიზმი არა თუ არა სწყვეტს, დღევანდელ ობიექტიურ პირობებში, ეროვნულ საკითხს, არამედ აკარგვინებს ნიადაგს და ხელ-ფეხს უკრავს ეროვნულ შემოქმედებას“.

მართალი იქნებოდა ეს აზრი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეროვნულ საკითხსა და ერს შევჭვრეტდავდით ნაციონალიზმის თვალსაზრისით. ეროვნულ-კულტურულ ინდივიდუალობის დასაცავად კი ყოვლად შეუძლებელია სოციალიზმი ხელის შემშლელ პირობად გადაიქცეს.

ჟურნალმა „კლდე“-მ ვერ მოიყვანა ამის მაგალითები გარდა ერთისა, რომელზედაც უნდა შევჩერდეთ. „და რომ ეს ასეა,—ასაბუთებს თავის აზრს ჟურნალი „კლდე“,—ყველაზედ უკეთესს საბუთს თვით „სახალხო გაზეთი“ და მისი წინაპრების ისტორია გვიმტკიცებს, რომელიც ჟამთა ვითარებამ, ბევრჯელ არა მარტო დაავიწყა სოციალიზმი და ბურჟუაზიულ კერძო საკუთრების ჰანგზედ აალაპარაკა, არამედ იმისთანა ნაციონალისტური ხმებიც გამოაღებინა, რომ ჩვენ დავიხევდით უკან. აბა მოიგონეთ არჩილ ჯორჯაძის და სხვათა უკანასკნელი წერილები არჩევნების დროს“.

საარჩევნო წერილებზე ხელის მითითება ჩემის აზრით სრულიად მეტია, რადგანაც ამ წერილებში ვერ აღმოაჩენთ ვერც ერთს სტრიქონს, სადაც ნაციონალისტური აზროვნება იყოს გატარებული, თუ, რასაკვირველია, დასელებსავით, ნაციონალიზმსა და ცხარე კილოთი დაწერილ წერილებს ერთმანეთისაგან არ გაარჩევთ. რაც უნდა სასტიკადა და უკიდურესი კილოთი იყოს დაწერილი წერილი, იგი არ შეიძლება ნაციონალისტურად ჩავთვალოთ იმ დრომდე, სანამ თვით **შინაარსი** არ იქნება ნაციონალისტური. ჩვენი პოზიცია კი ამ არჩევნებში ერთი იყო: ვებრძოლოთ ყველას, ვინც ქართულ ეროვნულ იდეას ებრძვის. თუ ქართული ეროვნული იდეალი ნაციონალიზმია, მაშინ, რა თქმა უნდა, წერილებიც ნაციონალისტურად უნდა მოვნათლოთ. მაგრამ, მიუხედავად დასელებისა და სომხის ბურჟუაზიის მტკიცებისა, ჩვენ მაინც იმ აზრს ვადგევართ, რომ ქართული ეროვნული იდეალის გამოხატვა ნაციონალიზმი კი არა, დემოკრატიზმია, და ვინც მას ებრძვის, ამასთანავე ერთად ებრძვის დემოკრატიულ პრინციპებსაც. ასეთი იყო ჩვენი პოზიცია არჩევნების დროს და, ვექვობთ, ჟურნალმა „კლდე“-მ დაგვიმტკიცოს, რომ ასეთი პოზიცია რითიმე ეწინააღმდეგება სოციალისტურ პრინციპებს. ამის თქმა მხოლოდ მაშინ მოხერხდება, თუ დასელთა თვალსაზრისს დავადექით. მხოლოდ იმათი აზრით არ ეთანხმება ერთმანეთს სოციალიზმი და იდეა ქართველ ხალხის ეროვნულ თვითარსებობისა.

**შინაური.**

# ვ. ს. ალექსი-მესხიშვილის საიუბილეო კომიტეტის სხდომა.

კვირას, 25 ნოემბერს, ნაშუადღევის 2 საათზედ თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილის თავმჯდომარეობით შესდგა მეორე სხდომა ვ. ბ. ალექსი-მესხიშვილის საიუბილეო კომიტეტისა. ამ სხდომაზე კომიტეტმა საბოლოოდ გადასწყვიტა საკითხი საიუბილეო-სადღესასწაულო დღის დანიშვნის შესახებ. საიუბილეო დღედ დაინიშნა 10 თებერვალი. კომიტეტის წევრთ საზოგადოდ მოლაპარაკება ჰქონდათ იმის შესახებ, რომ რაც შეიძლება ღირსეულად მოეწყოს იუბილეი, რადგანაც ქართველობა საზოგადოდ და ქართული თეატრი—კერძოდ ვალდებულია სამაგიერო პატივი მიუზღოს იმ გამოჩენილ მსახიობს, რომლის ნიჭმა და მოღვაწეობამ შეუწყო ხელი ქართულ დრამატიულ ხელოვნების აღზრდა-განვითარებას. გამოითქვა სხდომაზე, სხვათა შორის ის აზრიც რომ რამდენადაც დღესასწაულს გარემოება ხელს შეუწყობს მიეცეს მას ნაციონალური ხასიათი. სურვილი გამოითქვა, რომ დეპუტატები და საზოგადოდ წარმომადგენლნი სხვა და სხვა დაწესებულთა ნაციონალურ ტანისამოსში გამოწყობილნი დაესწრნენ და მიიღონ მონაწილეობა დღესასწაულში. კომიტეტმა იმის მოლოდინში, რომ მას მალე კომისია წარმოუდგენს პროექტს სადღესასწაულო პროგრამისას სხდომა შესწყვიტა.

# სასამართლო

ტფილისის სასამართლო პალატის საგანგებო საკრებულო, წოდებათა წარმომადგენლების თანადასწრებით, დღეს, 27 ნოემბერს, განიხილავს პოლიტიკურ საქმეებს: 1) გაზ. „ბაქოს“ რედაქტორის ქრისტეფორე ვერმიშევისა, სისხლის სამართ. 129 მუხ. ძალით; 2) პუბლიცისტის **ნოე ჟორდანიასი**, სისხ. სამ. 129 მუხ. და 3) იცკა კოტლიაროვისა, სისხ. სამ. 102 მუხლის მეორე ნაწ. ძალით.

26 ნოემბერს, ტფ. სასამართლო პალატამ განიხილა სააპელაციო საქმე ფოტინე ცაგარლისა, რომელსაც ქუთაისის ოლქის სასამართლომ, ნაქურდ ნივთების შენახვისათვის 6 თვის ციხე გადაუწყვიტა. სააპელაციო თხოვნაში ბრალდებული სთხოვდა პალატას, ოლქის განაჩენის გაუქმებას, რადგანაც არ იცოდა თუ ნივთები მოპარული იყო და ისე მიიბარა. გარდა ამისა, პოლიციელების პირველსავე მოთხოვნაზე მისცა მათ შენახული ნივთები. პალატამ ქუთ. ოლქის სასამართლოს განაჩენი დაამტკიცა.

ტფ. სასამართლო პალატამ განიხილა საქმე ბიქტორ ანდრიაძისა. 1912 წლის, 21 მარტს, ქ. ქუთაისში, სახალხო სეირნობის დროს, ახალგაზრდა მოსეირნენი ორ ჯგუფად გაიყვნენ და ჩხუბი დაიწყეს. ჩხუბის დროს ანდრიაძემ რევოლვერი იძრო და სერაფიონ ბალანჩივაძეს ესროლა, ააცდინა და მის უკან მდგომი ბესარიონ გვაჩავა თავში დასჭრა ანდრიაძე გაიქცა, მას დაედევნენ და როდესაც იარაღის წართმევა მოუნდომეს, ხელმეორედ დასცალა რევოლვერი, რომლითაც ხელში მსუბუქად დასჭრა ბალანჩივაძე ამის გამო ქუთაისის ოლქის სასამართლომ, მიიღო რა მხედველობა ბიქტორ ანდრიაძის მცირე წლოვანობისა, გადაუწყვიტა მას რვა თვის ციხე. ეს გადაწყვეტილება ოლქის სასამართლოსი, ანდრიაძემ პალატაში განასაჩივრა. პალატამ უყურადღებოდ დასტოვა მისი საჩივარი და ოლქის სასამართლოს განაჩენი დაამტკიცა.

**ქუთაისის ოლქის სასამართლოში** დღეს, 27 ნოემბრისათვის განსახილველად დანიშნულია საქმე თავ. დ. ო. ნიჟარაძისა, რომელმაც პასუხის გებაში მისცა საგუბერნიო საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრი ბ-ნი ბიბიკევი, [illegible] მელიც [illegible] „[illegible]“-ში დაბეჭდილ [illegible].

# გორის ამ-კარგი

ხანგრძლივ გვალვას ხანგრძლივი წვიმები მოჰყვა. გაჭიანურებული ავიდარებაა. მზე იშვიათად თუ გამოჰყოფს თვალს, გვტყორცნის თვის ცხოველმყოფელ, მინელებულ სხივებს და კვლავ ღრუბლებს მიეფარება. უგზოობისა გამო სანოვაგის ფასმა აიწია. მამასისხლად გახადა მეტადრე შეშა. ასეთი სიძვირე აქ იშვიათია. საქმეს უფრო ის ართულებს, რომ ქალაქში მოდებულია საქონლის ჭირი და შეშა ქალაქის ბაზარზე ვეღარ შემოაქვთ. სამაგიეროდ ქათმის იშვიათი სიიაფეა. აქაც ისევ ის ჭირია მიზეზი. სოფლებს ქათმის ჭირი მოსდებია და გლეხიც სულ არარაობას ქათმის ჩალის ფასად გადაგდებას არჩევს.

***

ვწერ, მაგრამ მეც არ მჯერა, რომ წ. კ. საზოგადოების ადგილობრივმა განყოფილებამ სალათას ძილს დაახწია თავი და შეიგნო ის, რომ „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს“. 28 ოქტომბერს თვის კრებაზე დაადგინა—გახსნას თვის სახელობაზე სამკითხველო, დრო კი იყო ასეთ სიმპატიურ და სასარგებლო საქმის საძირკვლის ჩაყრისა. სრული იმედით, რომ ფართე საზოგადოებაც თანაგრძნობით მიეგებება განყოფილების ამ საქებილო გარდაწყვეტილებას და დახმარების ხელს გაუწვდის ფულით, ჟურნალ-გაზეთებით გამოწერით თუ სხვა რამით, ვუსურვებთ გამოფხიზლებულ საზოგადოებას ენერგიას და მედგრად წინსვლას თვის ეკლიან გზაზე...

***

ერთი სასიამოვნო ამბავი კიდევ უნდა მოგახსენოთ. იქნება არ დაიჯეროთ, მაგრამ საზოგადო საქმიანობა გორელ ქალებსაც დაეტყოთ. ორ ნოემბერს მოხდა დამფუძნებელი კრება. კრება მრავალ რიცხოვანი იყო, ცოცხალი და მხიარული. დიდი, პატარა, მდიდარი და ღარიბი შეკრებილიყო, რომ ერთმანეთისთვის ტკბილი სიტყვა ეთქვათ, საზოგადო საქმიანობაში ჩაბმით თვისი წვლილი შეეტანათ სამშობლოსა და ერის წინსვლის საქმეში. მიზანი ჯერ-ჯერობით ვიწროა. შეუძლო ქართველ ქალთა ქონებრივ-ზნეობრივი დახმარება, წრე პატარაა, მაგრამ ვიმედოვნებთ, საქმის ხელმძღვანელთა მადლიან ხელის წყალობით, იგი თან და თან სასურველად ვაფართოვდება, აყვავდება... გამგეობა ამოირჩიეს და საქმესაც შეუდგნენ.

**ხან-განიძე.**

# სიღნაღის მაზრის მეურნეთა კრება.

კვირას, 17 ნოემბერს, ქ. სიღნაღში მოხდა სიღნაღის მეურნეთა კრება. ხალხი ბლომად დაესწრო. კრებამ მსჯელობა იქონია სამეურნეო ამხანაგობის დაარსებაზე. გამოითქვა სხვა და სხვა აზრი; ბოლოს იმ აზრს დაადგნენ, რომ აუცილებლად საჭიროა სამეურნეო ამხანაგობის დაარსება, იმ წესდების მიხედვით, რომელიც მთავრობისაგან დამტკიცებულია 1908 წელს.

კრებამ სასურველად სცნო რომ საწევრო ფული რაც შეიძლება მცირე იყოს, რათა საშუალება მიეცეს ფართე საზოგადოებას მონაწილეობის მიღებისა და განსაზღვრა იგი ერთი მანეთით. ამის შემდეგ კრებამ სთხოვა მაზრის მარშალს თავ. მ. ა. ანდრონიკაშვილს, იკისროს შუამდგომლობა და მთავრობას სთხოვოს ამხანაგობის დამტკიცება.

მერე სამზრუნველო კომიტეტის წევრებად: აირჩიეს სიღნაღის მაზრის თავ.-აზნაურთა წინამძღოლის თანაშემწე დ. ჩოლოყაშვილი, თ. ი. გ. ჯორჯაძე, გ. წინამძღვრიშვილი, ი. ფორაქიშვილი, სარაჯიშვილი, ექ. ნ. ჯანდიერი და კოტე ტყავაძე, რომელსაც დაევალათ შეიმუშაონ გეგმა მომავალ დამფუძნებელ კრებისათვის.

მადლობის ღირსნი არიან ამ სიმპატიური საქმის მეთაურნი. იმედია ამხანაგობა არ დაიშურებს, არც ძალას და არც მეცადინეობას და ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში დაცემულ მეურნეობის აღორძინებას.

ვუსურვებთ ნორჩ ამხანაგობას დღეგრძელობას, მხოლოდ მის ხელმძღვანელთ ამხანაგობის წინაშე პირნათლად სამსახური. (ხმა კახ.)

**დამსწრე.**

## დაბა ოჩემჩირე

დაბა ოჩემჩირე აფხაზეთში ერთი საუკეთესო დაბათაგანია. მცხოვრებლები ოთხი ათასს აღემატება. მაღაზიები და სხვა და სხვა სახელოსნოები ჩინებულია. ვაჭრობა შვენიერია. ოჩემჩირეში მკვიდრთა გარდა მოსული ხალხიც სცხოვრობს, განსაკუთრებით მეგრელები და იმერლები. ევროპიულ გემოვნებაზე აქ მხოლოდ მოსული ხალხი სცხოვრობს. მკვიდრნი კი ცხოვრობენ მამა-პაპურ ჩვეულობაზე. ადგილობრივ მკვიდრთა უმრავლესობას სამურზაყანოელები შეადგენენ.

სამურზაყანოელები და აფხაზები, როგორც საზოგადოდ, მეტად უწყინარი და მშვიდობიანი ხალხია, მასთან მეტად ზრდილობიანიც. სტუმართ-მოყვარეობა და უცხოელთადმი პატივისცემა კი რამდენადმე შემცირებულია ამ ხალხში და მეგრელებშიაც. ამ უკანასკნელი მოვლენის მიზეზად შეიძლება დავასახელოთ,—ერთი მხრით ხალხის გაღარიბება და მეორედ თვით უცხოელების მიერ უპატივცემულოდ მოპყრობა მკვიდრთამი. აქ არის ერთი ორ კლასიანი ნორმალური სასწავლებელი, ამ სასწავლებელში სულ ასოცამდე ბავშვი უნდა სწავლობდეს ორივე სქესისა.

ახლა ჰფიქრობენ სამოქალაქო სკოლის გახსნასაც. სკოლაში ქართულ ენას არ ასწავლიან და უყურადღებოდ არის დატოვებული; მიუხედავად იმისა, რომ ბავშვების უმრავლესობას მოსული ქართველობისა ბავშვები შეადგენენ. ესევე შეიძლება ითქვას დაბის ახლო-მახლო სკოლებზედაც; და თუ მთელი აფხაზეთის შესახებაც ვიტყვით ამას მგონი არ შევცდებით. ჩვენ არა გვგონია, რომ ისე მტკიცედ ტარდებოდეს სადმე ცხოვრებაში გარუსების პოლიტიკა, როგორც აფხაზეთში. მაგრამ ისევ ოჩემჩირეს დაუბრუნდეთ. აქაური მასწავლებლებიც მწყრალად ბრძანდებიან ქართულ ენაზე. არც ერთმა მათგანმა არ იცის ქართული, და თუ იძულებულ ჰყავი და დაელაპარაკე, „ჩიქორთულით“ გაგიმასპინძლდება.

აქაურმა მოინტელიგენტო ქართველებმა მითხრეს: „მოკლეხანში ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების განყოფილებასა ვხსნით,, ამისათვის საწევრო ფული და თხოვნა უკვე გაუგზავნეთ მთავარ გამგეობას ტფილისში, შემდეგ კი ვფიქრობთ გავხსნათ,—სამკითხველოცა და სკოლაცაო“.

მიზანი დიდად სიმპატიური და დიდმნიშვნელოვანია.. მით უმეტეს აქ არის საჭირო ქართული სკოლა და სახალხო სამკითხველო. ქართული სკოლა აქ ბავშვების ერთ ნაწილს მაინც იხსნის გადაგვარებისა და გონებრივ-ზნეობრივ სიმახინჯისაგანა. იმედია ოჩემჩირის მოწინავე ელემენტები არავითარ შრომასა და ხარჯს არ შეუშინდებიან და განახორციელებენ ამ დიდ საქმეს.

სკოლაზე არა ნაკლებ საჭიროა არსებობდეს ამ დაბაში, სცენის-მოყვარეთა წრე, რომ ამ წრის მიერ იმართებოდეს ქართული შინაარსიანი წარმოდგენები, ყველასათვის ხელ-მისაწვდომ ფასებში. ამ საგანზედაცა მქონდა ლაპარაკი აქაურ მოწინავე ქართველებთან და მითხრეს: „შეძლების დაგვარად ვმუშაობთ ამ დარგში და ხშირადაც ვმართავთ წარმოდგენებსა, როცა განყოფილება გაიხსნება მაშინ წრეს შევადგენთ, დაუკავშირდებით გამგეობას და უფრო ენერგიულად მოვკიდებთ ხელს ამ საქმესაო.“

დიდებული აზრია და თუ იშრომებენ ჩვენი მოძმე ოჩემჩირელები შეუძლებელი არაფერია.

ოჩემჩირეს ახლოს ასე ექვს ვერსზედ ს. ილორში არის დიდად საყურადღებო უძველესი ეკლესია ქართველებისა; რომელიც მოკლედ ავწერეთ „სახალხო გაზეთი“-ს ერთ-ერთ ნომერში.

თორმეტ ვერსზე ს. მოქვში არის მეორე უდიდესი ეკლესია, სადაც ახლა ქალების მონასტერია, ამ ეკლესიის გარშემო მრავალი ნანგრევებია ეკლესიებისა და ციხე-კოშკებისა; რაც იმის მომასწავებელია, რომ აქ ერთხელ ყვაოდა ცხოვრება. მოქვის ეკლესია აშენებულია მეათე საუკუნის მეორე ნახევარში, აფხაზეთის მეფე ლევან მეორეს მიერ.

ოცდა ხუთი ვერსის მანძილზე ს. ბედიაში არის დიდი და საყურადღებო ეკლესია, რომელიც აშენებულია ბაგრატ მესამის მიერ.

ეს ეკლესია ძლიერ მდიდარი ყოფილა. აქ ყოფილა ძვირფასი ხატები და ნივთები. აქ ეხლაც არის ოქროს ძვირფასი ბარძიმ-ფეშხუმი ქართული წარწერებით, რომელიც შეწირულია თვით ბაგრატ მესამის მიერ.

ეს ეკლესია ძლიერ მინგრეულ-მონგრეული ყოფილა და მხოლოდ ამ უკანასკნელ წლებში შეუკეთებია დიდად პატივცემულ მღვდელ მამა შელეგიას. ამ უკანასკნელისავე მეცადინეობით იქნა აღდგენილი მღვდელთ-მსახურება ქართულ ენაზე.

ამ ეკლესია—მონასტრებს ცალცალკე ავწერთ თავის დროზე.

ოჩემჩირეში მრავლად ცხოვრობენ ოსმალელი თათრები, რომელნიც დიდი ხნიდანვე ყოფილან აქა და მეგრულადა და აფხაზურადაც კარგად ლაპარაკობენ. ესენი აქ უფრო ვაჭრობასა და მეზღვაურობას მისდევენ. თათრებს აქ აქვთ ახლად აგებული ჩინებული მეჩეთი.

ოჩემჩირეში არის: მომრიგებელი მოსამართლე, პოლიციის სამმართველო, სამმართველო სამურზაყანოს ნაწილისა, აფთიაქი და სხვა.

როგორც ყველგან შავი ზღვის ნაპირას მდებარე დაბა-ქალაქებში ისე აქაც მრავლად არის საყავეები, სადაც ყველა წოდებისა და ყველა პროფესიის ხალხი მრავლად დაიარება და თავს ირთობს სხვა და სხვა თამაშობებით. ოჩემჩირეში ასეთი საყავე ყოველთვის სავსეა ხალხით. ვინ გინდათ რომ აქ არ იყვეს. აქ ნახავთ ექიმს, ვექილს, მომრიგებელ მოსამართლეს, ფერშალს, ბოქაულს, მასწავლებელს, თავად-აზნაურს, ვაჭარს და მუშას.

ოჩემჩირის გარშემო მცხოვრები ხალხი დიდ გასაჭირშია... ოჩემჩირეში ყოფნის დროს, დაბის ერთ-ერთ მახლობელ სოფელში, შემთხვევით მოეკლათ თავადი ინალიშვილი, რომელიც თურმე მთავრობას ემალებოდა. მოკლული რამდენიმე დღეს ეგდო მკვლელობის ადგილას და ძაღლები და ფრინველები ესეოდნენ. ნათესავმა კნ. ინალიშვილისამ მაზრის უფროსისაგან დასაფლავების ნებართვა აიღო. ბოქაულმა კი ეს ნებართვა გააუქმა.

სცენის-მოყვარეებმა მაზრის უფროსისაგან წარმოდგენის ნებართვა აიღეს, მაგრამ ბოქაულმა წარმოდგენის ნება არ დართო.

ჩვენი სოფელი ღარიბია მომუშავე ინტელიგენტებით.

კოოპერატიული მუშაობა აქეთ სრულიად არ არის. გზები ძლიერ ცუდია და მიმოსვლა გასაჭირი. ხეტყე აქეთ ბევრია და იაფიც, მაგრამ უგზოობის გამო, ძნელი ხდება მით სარგებლობა.

შავი ზღვის ნაპირას რკინის გზის გაყვანას აქეთ დიდის სიხარულით მოელიან.

მიწები ცოტაა, მაგრამ კარგი და მოსავლიანი. აქეთ უფრო სიმინდის მოყვანას მისდევენ. ადგილობრივნი საზრდოთ უფრო სიმინდის ფქვილის ღომსა ხმარობენ. თვითონ დაბაში ცხოვრება ძლიერ ძვირია, თითქმის როგორც სოხუმში. სასტუმროები არის, მაგრამ შედარებით ძლიერ ძვირი. დაბაში ჰავა მეტად მძიმეა. ზაფხულობით ჰაობის ციება იცის. დაბა ოჩემჩირე სოხუმიდან სამხრეთით მდებარეობს 51 ვერსის მანძილზე. გემით სოხუმიდან სამი საათის გზაა. მიმოსვლა ხმელეთითაც შეიძლება.

**ისარი.**

## უკრაინის დიდებული შვილი ნიკოლოზ ვიტალის ძე ლისენკო.

წარსული თვის უკანასკნელს რიცხვებში სამშობლო მხარეს სამუდამოდ გამოეცალა უკრაინის საუკეთესო მოღვაწე და დიდებული მოამაგე ნ. ვ. ლისენკო, გამოჩენილი, ცნობილი, სწორ მიმდევარი და მედგარი დამცველი უკრაინის ნაციონალური იდეისა, უკრაინის ერის კულტურულად აყვავებისა.

ნ. ვ. ლისენკო დაიბადა 1849 წელს ათს მარტს პოლტავის გუბერნიაში, და აქ პატარაობაშივე ღრმად ჩაენერგა გულში სამშობლო უკრაინის მდიდარი მუსიკის მრავალ-ფეროვანი ჰანგები, და მთელი თავისი სიცოცხლე ამის ტრფიალება-სიყვარულს შესწირა; აქ პატარაობაშივე ჩაენერგა იდეალური სიყვარული თავისი ხალხისადმი და რწმენა მისი ძალისა.

ნ. ლისენკომ სწავლა დაამთავრა კიევის უნივერსიტეტში 1865 წელს. ეს ის წლები იყო, როდესაც ცალცალკე ეროვნება იღვიძებდა, უნივერსიტეტში დიდს ყურადღებას იპყრობდა ეთნოგრაფია და მისი შესწავლა. ხელი მიჰყო ხალხურ სიმღერების შესწავლას. ბევრი იმუშავა იმან ამ ასპარეზზე, აუარებელი შრომა დასტოვა, მრავალი გამოკვლევა და მუსიკალური ნაწარმოები უანდერძა სამშობლოს. ნ. ლისენკო ითვლება ნამდვილ შემოქმედად და მამთავრად უკრაინულ ნაციონალურ მუსიკისა. სიბერემდის ცოცხალი მუშაკი, ენერგიული, მუყაითი, იგი სიამოვნებით აკეთებდა ყოველგვარ საზოგადო საქმეს; აღზრდილს მესამოცე წლების იდეალებზე მასა სწამდა ღრმად ის კულტურული საკითხები, რომლებიც იმ დროს წამოაყენეს ახალგაზდა უკრაინელმა მოღვაწეებმა — მისწრაფება - განვითარება უკრაინული ენისა, ლიტერატურისა, მუსიკისა, თეატრისა, უკრაინული ერის კულტურულად ამაღლებისა მისი კულტურულ სიმდიდრის საფუძველზე. მათი მისწრაფება იყო ამ სიმდიდრის შემოკრება, რომ ის გაეხადათ გამომავალ წერტილად ხალხის შემდეგი კულტურული განვითარებისა. აი ყველა ამით განიბჭოდა მისი არსება, ყველა ეს ხელმძღვანელობდა მისს მოღვაწეობას ახალგაზდობიდან სიკვდილამდის.

1876 წელმა სასტიკი ხელი შეახო უკრაინულ ეროვნულ განვითარებას; ამ წელს გამოიცა კანონი, რომლითაც აკრძალული იყო უკრაინული ენა და ლიტერატურა. მოსწყდა, მიჩუმდა მოძრაობა უკრაინულ მოღვაწეთა, და თითქმის მხოლოდ ერთი ლისენკო და მწუხარედ აჟღერებდა უკრაინულ ფანდურს; და მით ასმენდა თავის ერს, რომ არ დაეკარგათ მათ ძალა და რწმენა, მხოლოდ ეს ფანდურის სიმთა ქვითინი უდგამდა სულს და აფხიზლებდა მისუსტებულს უკრაინას. მაგრამ აი ხმები უფრო გაიზარდა, მას ბანი მისცეს სხვა მოღვაწეებმაც, შეიქმნა მეტი თავისუფლება, და როდესაც ქ. კიევში 1908 წელს გაიხსნა უკრაინული კლუბი, ნ. ვ. ლისენკომ თავისუფლად ამოისუნთქა: „განა ვიფიქრებდი ოდესმე, რომ ამ დროს მოვესწრებოდი, ჩვენი უკრაინული კლუბი გვქონოდა, შევკრებილიყავით, გვებაასნა უკრაინულად, ერთმანეთის ჭირი გვეზიარებინაო“; ახლა კი შემიძლიან თამამად ვსთქვა: „აწ განუტევე მონა შენი“... წარმოსთქვა მან. ამ კლუბის უმთავრესი დამაარსებელი მისი სულის ჩამდგმელი და მისი მუდმივი თავმჯდომარე იყო ნ. ვ. ლისენკო. და ამ კლუბის დაკეტვამ მთავრობის მიერ, მისმა დახურვამაც მიუღო მას ბოლო. უკრაინული კლუბის სალიკვიდაციო კრებაზე მოხუცებული მოღვაწე მწარედ სტიროდა. წავიდა სახლში და მეორე დღეს კიდეც განუტევა სული.

ნ. ლისენკო აგრეთვე მხურვალე და მახლობელ მონაწილეობას იღებდა უკრაინული ცხოვრების ყოველს საზოგადო საქმეში. იგი იყო წევრად უკვე დახურულ, „უკრაინულ ხალხში სწავლის გამავრცელებელი საზოგადოება — „პროსვიტ სა“ და სხვ. 1907 წელს რამდენიმე ხნით იგი დაატუსაღეს. სამშობლო უკრაინაც დიდად აფასებდა მას. ჯერ ისევ 1903 წელს მისი მოღვაწეობის 35 წლის იუბილეის დროს ქ. ლვოვში დაარსეს ლისენკოს სახელობის მუსიკალური სასწავლებელი.

მისი უკანასკნელი ნაწარმოები დაწერილია სიკვდილის წინა დღეებში და ჰქვიან „გედის სიმღერა“.

ნ. ვ. ლისენკოს ღვაწლს არ დაივიწყებს სამშობლო მხარე და უკრაინელი ერი; მისი სახელი მადლობის ნიშნად აღბეჭდილი იქნება ყოველ უკრაინელის გულში. არ დაივიწყებს იმას აგრეთვე ყოველი ადამიანი, თავისი ერის ნამდვილი შვილიც, რომელიც კი მას იცნობდა, და რომელსაც ეყოლება იგი თავისი ცხოვრება-მოღვაწეობის მაგალითად.

**გ. ნამორაძე.**

## ბალკანეთის ომი

**დეპეშები**

**25 ნოემბერი.**

**საზავო მოლაპარაკება**

**ბულგარეთის დელეგატები.**

**სოფია.** ბულგარეთმა მოლაპარაკების რწმუნებულად დანიშნა დანევი, მაჯაროვი და გენერალი პაპრიკოვი; დელეგატ-ექსპერტად დაინიშნა პოლკოვნიკი იოსტოვი. დანევი 25 ნოემბერს ბუხარესტში მიდის, იქიდან ლონდონისკენ გაემართება.

**დელეგატების თათბირი.**

**ბელგრადი.** „ტრიბუნის“ სიტყვით, ბალკანეთის მოკავშირე სახელმწიფო დელეგატები ლონდონში წასვლის წინა დღით ბელგრადში მოიყრიან თავს სათათბიროდ.

**„მირი“-ს აზრი დროებითი ზავის თაობაზე.**

**სოფია.** „მირი“ სწერს: მოკავშირენი დროებითი ზავს დასთანხმდნენ დიდ სახელმწიფოთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ამ ნაბიჯს იმედია ღირსეულად დააფასებს ევროპაო.

**ბულგარეთის საეგზარხო სოფიაში.**

**სტამბოლი.** საზავო ხელ-შეკრულებაში შეტანილი იქნება მუხლი ბულგარეთის საეგზარხოს გადატანისა სოფიაში.

**სერბიის რწმუნებულები.**

**ბელგრადი.** სერბიის დელეგატებმა საზავო მოლაპარაკების გასამართად ჰნიშნავენ: მინისტრთა საბჭოს ყოფილ — თავმჯდომარეს ნოვაკოვიჩს, სკუპშჩინის პრეზიდენტს ანდრო, ნიკოლიჩს და სერბიის ელჩს პარიზში მილენკო-ვესნიჩს.

**ოსმალეთის რწმუნებულნი.**

**სტამბოლი.** მინისტრთა საბჭომ საბოლოოდ გადასწყვიტა დანიშნოს საზავო მოსალაპარაკებლად ტეფიკი, ოსმან-ნაზიმი და ვაჭრობის მინისტრი.

**საბერძნეთის წარმომადგენელი.**

**ათინა.** საბერძნეთის წარმომადგენლად ლონდონის მოლაპარაკების დროს იქნება ვენიზელოსი. მის მაგივრობას კაბინეთში გასწევს კორომილასი.

**ქრისტიანთა ამოწყვეტა.**

**სტამბოლი.** გენერალ თურგუთფაშას ბრბო გალიპოლიში ქრისტიანთა თექვსმეტი სოფელი გაანადგურეს, მცხოვრებნი ამოწყვიტეს. გალიპოლის ვიცე-კონსულმა ამის გამო დიდ სახელმწიფოების წინაშე პროტესტი განაცხადა.

**ყალბი ცნობა.**

**ათინა.** ცნობა ვითომ ბერძნები მაკედონიაში კუცოვლახს აწამებენ ტყუილი გამოდგა.

**ტყვეების განთავისუფლება.**

**ათინა.** ხიოსის და მითელინის ტყვე მოხელენი ბერძნებმა განათავისუფლეს.

**კორიცის აღება.**

**ათინა.** ეპირში ბერძნებმა კორიცი აიღეს. აიღეს აგრეთვე სირაკო და წმინდა გიორგის მონასტერი.

**ხოლერა მძვინვარებს.**

**სტამბოლი.** სატახტო ქალაქში ხოლერა უფრო და უფრო ძლიერდება. ავად გახდა 82, გარდაიცვალა 32.

**გაზეთებიდან.**

**დროებითი ზავი.**

სოფიიდან იუწყებიან: დროებითი ზავის ოქმს 20 ნოემბერს მოაწერეს ხელი ქ. ჩათალჯაში. ოქმის ტექსტი დანევმა შეადგინა: მისი შინაარსი შემდეგია: მეომართა ჯარი იმ ადგილსვე დარჩება, სადაც ახლა სდგას. ალყაშემორტყმულ ციხეებს სურსათი არ მიეცემა. ბულგარეთის ჯარის საკვებს ორი მხრიდან მოიტანენ: შავი ზღვით და ადრიანოპოლის რკინის გზით. 17 დეკემბერს ლონდონში დაიწყება მოლაპარაკება მშვიდობიანობის სრულ დასამყარებლად. ოქმს ხელი მოაწერეს ბულგარეთის რწმუნებულებმა ბულგარეთისა, სერბიისა და ჩერნოგორიის სახელით. საბერძნეთმა უფლება დაიტოვა, ერთი დღის განმავლობაში მიემხროს, ან არ მიემხროს მომხდარ ხელშეკრულებას. ყოველ შემთხვევაში საბერძნეთიც მიიღებს მონაწილეობას ლონდონის სამშვიდობო მოლაპარაკებაში. საბერძნეთის ელჩს პარიზში უთქვამს: დროებითი ზავი მხოლოდ ოსმალეთისთვისაა სასარგებლო; საბერძნეთს არა ჰსურს ზავი, რომელიც შეძლებას მისცემს ოსმალეთს თავისუფლად ამოისუნთქოს და მერე უფრო მედგრად განაგრძოს ბრძოლა. საბერძნეთმა ომი დაიწყო არა ადგილების შესამატებლად, არამედ ქრისტიანთა განთავისუფლებლად. დროებითი ზავი საქმეს დაუბოლოებლად სტოვებს და ამიტომ საბერძნეთი განაგრძობს ომს, მიუხედავად იმისა, დაეხმარებიან მას მოკავშირენი, თუ არა. საბერძნეთს არა ჰსურს ბულგარეთთან უსიამოვნების ჩამოგდება, რადგან ელინთა სასიცოცხლო ინტერესი მოითხოვს ომის განგრძობას.

**დროებითი ზავი და საბერძნეთი.**

სტამბოლიდან იუწყებიან: ბერძნები უარს ამბობენ დროებითი ზავის ჩამოგდებაზე, სანამ ოსმალეთი არ დასთმობს კუნძ. ხიოსსა და მიტილინეს, სადაც ამ ჟამად ბრძოლა სწარმოებს. ბერძნები მოითხოვენ აგრეთვე ქ. იანინის დანებებას და უარს ამბობენ ეგეის ზღვის სანაპიროებზე საზღვაო ბლოკადის მოხსნაზე.

**გამოურკვეველი მდგომარეობა**

პარიზიდან იტყობინებიან: ბალკანეთიდან მოსული ცნობები მეტად გაურკვეველი და ერთი ერთმანეთის საწინააღმდეგოა. ეჭვს გარეშეა მხოლოდ სასი ფაქტი: ბულგარეთსა ჰსურს მშვიდობიანობა და ახალ აღმოსავლეთის კავშირის დამყარება, რომელშიც ოსმალეთიც მიიღებს მონაწილეობას. საბერძნეთი გადაჭრით ეწინააღმდეგება ამ მისწრაფებას; მისი ჯარი ნაკლებ მოქანცულია, ვიდრე ბულგარეთისა, ამასთანავე საბერძნეთმა ყველაზე მეტი ადგილები დაიპყრო იმ გარემოების წყალობით, რომ ოსმალთა მთავარი ძალა ბულგარეთის წინაამდეგ იყო მიმართული. მდგომარეობის გართულების მთავარი მიზეზი ისაა, რომ საბერძნეთი ცდილობს რამენაირად გაიყვანოს სალონიკიდან ბულგართა რაზმი, რომელიც ბერძნებთან ერთად შევიდა ქალაქში. მცირე იმედის შუქს იძლევა ცნობა, რომ სერბიელები სავსებით ადასტურებენ ბულგარეთის წარმომადგენელთა მოქმედებას დროებითი ზავის ჩამოგდების საქმეში.

**მოკავშირეთა უთანხმოება.**

სოფიიდან ცნობაა: ღენ. ტოდოროვმა გეშოვს წარუდგინა ქ. სალონიკის დანებების პირობები და სთხოვს მას ნათელჰყოს ეს საკითხი ევროპის წინაშე. ღენერალი ამტკიცებს, რომ ბულგარელების ჯარი 14 საათით ადრე შევიდა ქ. სალონიკში, მაგრამ საბერძნეთის ტახტის მემკვიდრემ ყურადღებაც არ მიაქცია ამ გარემოებას და არც კი გვამცნო ქალაქის დანებების პირობებიო.

ვენიდან იტყობინებიან იმ მიზეზებს, რომლებმაც აიძულეს საბერძნეთი უარი ეთქვა დროებითი ზავის ჩამოგდებაზე: ესაა—ზღვის ნაპირების ბლოკადის მოხსნა და ალყაშემორტყმულ ციხეების ოსმალთა ხელში დატოვება. ეს პირობები, საბერძნეთის აზრით, სრულიად სპობენ ომის შედეგს და აგრეთვე ბალკანეთის კავშირს. სოფიაში არ მალავენ უთანხმოების ჩამოვარდნას, მაგრამ ამბობენ, რომ იგი გარდამავალი ხასიათისაა. გეშოვი ცდილობს მდგომარეობის გამოსწორებას, იგი მზადაა დათმობისათვის, მაგრამ საბერძნეთი სალონიკს გარდა მონასტირის დათმობასაც თხოულობს. რადგან საბერძნეთის დანაკლისი ამ ომში ყველაზე უფრო მცირეა, იგი მოითხოვს ბრძოლის გაგრძელებას; მან შეუთვალა ბულგარეთს: სამ დივიზიას გამოგიგზავნი ჩათალჯაში დასახმარებლადაო, მაგრამ ბულგარეთმა პასუხი არ გასცა. ომის გაგრძელების მომხრეა აგრეთვე ჩერნოგორიაც, რომელსაც ჰსურს სკუტარის აღება და მთელი ოლქის შეერთება.

## ბალკანეთი და ევროპა

**დეპეშები.**

**ელჩთა კონფერენცია.**

**ვენა.** „ფრემდენბლატის“ ცნობით, ავსტრია-ჰუნგრეთი დასთანხმდა ინგლისის წინადადებას მოახდინონ ელჩთა კონფერენცია. კონფერენციის ადგილი ჯერ დანიშნული არ არის.

**გერმანიის ელჩის თხოვნა.**

**ცეტინიე.** გერმანიის ელჩმა, პორტის თხოვნით, მიჰმართა ჩერნოგორიის გარეშე საქმეთა სამინისტროს წინადადებით, შეატყობინოს სკუტარის უფროსს ჰასან-რიზას ხელშეკრულების ხელის მოწერა. სამინისტრომ ელჩის თხოვნა დააკმაყოფილა.

**ოპოზიცია ომის წინააღმდეგია.**

**ბუდაპეშტი.** ოპოზიციის გაზეთები ომის საწინააღმდეგო აზრს გამოსთქვამენ. „მაჯიარ - ხირლ პო“ სწერს: ოპოზიციამ პროტესტი უნდა განაცხადოს ომის წინააღმდეგ, რის თავიდან აცილებაც ადვილად შესაძლებელიაო. „ბუდაპეშტი“ ამბობს — ჰრესტიაცის პოლიტიკამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ მშვიდობიანობა ძეწკვზე ჰკიდიაო.

**კავშირის ხელშეკრულების განახლება.**

**ვენა.** იტალიის, ავსტრია-ჰუნგრეთის და გერმანიის კავშირის ხელშეკრულება სრულიად უცვლელად განახლდა.

**გაზეთებიდან.**

**საერთაშორისო მდგომარეობა.**

გერმანული გაზეთი „ბერლინ ტაგებლატი“ ეხება გერმანიის საიმპერიო კანცლერის მიერ რაიხსტაგში წარმოთქმულ სიტყვას და ამბობს: „როდესაც საიმპერიო კანცლერი მოკავშირე სახელმწიფოს ზუნებრივ მეგობრობაზე ლაპარაკობს, რად აძლევს იგი თავის აზრს ისეთ ფორმას, რომელიც უეჭველად უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს? რად აძლევს იგი ამ აზრს ისეთ მკვეთრ მნიშვნელობას, რომელიც აშკარადაა რუსეთის წინააღმდეგ მიმართული? რა საჭიროა ეს მხედრული ბაქიბუქი, ასეთ მდგომარეობაში, როდესაც მშვიდობიანობით — შეიძლება — გამორკვევს?“ გაზეთი [illegible] ამბობს: „ეს მკვახე სიტყვები „შინბრუნის საჩუქარია“ იმპერატორ ვილჰელმის მიერ ფრანც-ფერდინანდისადმი მიძღვნილი. ასეთი საჩუქარი იმიტომ დასჭირდათ, რომ ვენაში აშკარად გაისმოდა ნაწყენობა გერმანიის მშვიდობიან პოლიტიკის წარმოების შესახებ. შეიძლება ხვალ პუანკარემაც ხაზგასმით აღნიშნოს რომ საფრანგეთი, როგორც ერთგული მოკავშირე, ვალდებულია რუსეთს დაეხმაროს. მთავრობათა ამგვარი განცხადებანი უტყუარად ამტკიცებენ იმ გარემოებას, რომ ომის განსაზღვრა სერბია-ავსტრიის ფარგალში სრულიად წარმოუდგენელია“.

**ინგლისის აზრი.**

ლონდონიდან იუწყებიან: გერმანიის კანცლერის სიტყვამ საერთაშორისო პოლიტიკის შესახებ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ლონდონში გაკვირვებული არიან სიტყვის კილოთი და უაზრო სამხედრო მუქარად სთვლიან მას. კანცლერის დანარჩენმა განცხადებამ ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. ბევრსა ჰგონია, რომ მთავრობამ ამ სიტყვით პასუხი გასცა მხოლოდ სოციალისტებს, რომელთაც ჰსურთ გერმანიის ომში ჩარევა ავსტრიის მიერ გამართულ ინტრიგების მიზეზით.

**საფრანგეთის აზრი.**

პარიზიდან იტყობინებიან: საზოგადოებრივი აზრი შეწუხებულ ა, ხოლო პოლიტიკური წრეები კი აღშფოთებული იმ აშკარა და თავხედურ მუქარით, რომელიც გერმანიის კანცლერის სიტყვაში გამოიხატა, მით უმეტეს, რომ რუსეთის შესახებ ბეტმან-ჰოლვეგი მუდამ ფრთხილად იქცეოდა, ავსტრიელები ამტკიცებენ, რომ ახლა რუსეთი უნდა დაემორჩილოს ავსტრიისა და გერმანიის სურვილსაო. ფრანგებ გაკვირვებულნი არიან, რომ რუსეთი ყოველთვის მშვიდობიანობისა და ზომიერების საჭიროებას ჰქადაგებს ავსტრია კი თან და თან უმატებს თავის მოთხოვნილებას, ხოლო გერმანია ამასაც აღარ სჯერდება და პირდაპირ ემუქრება რუსეთს. ფრანგები მოუთმენლად ელიან რუსეთის დიპლომატიისა და პრესის შესაფერ პასუხს.

**ბულგარეთი და რუმინია.**

სოფიიდან იუწყებიან: ავსტრია არწმუნებდა დანევს, რომ ბულგარეთმა თვისი ტერიტორიის მცირე ნაჭერი მაინც უნდა დაუთმოს რუმინიას, რათა ამით ოდნავ მაინც დაიცვას რუმინიის მეფის პრესტიჟი მის ქვეშევრდომთა თვალში, რადგან ამ უკანასკნელის მდგომარეობა მართლაც უხერხულია იმ გარემოების წყალობით, რომ ბულგარეთი თითქმის ორ-ხომად გაიზრდება ამ ომის შემდეგ რუმინია კი, მიუხედავად დიდი სამხარი მზადებისა, ვერავითარ ჯილდოს მიიღებს. დანევმა უპასუხა, რომ ბულგარეთის ჯარის ასეთ ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ბულგარეთის მხრით რაიმე ტერიტორიის დათმობაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელიაო. ადრიატიკის ზღვის საკითხის შესახებ დანევი ურჩევდა ავსტრიას დათმობას, რადგან ბულგარეთი თავისი სასიცოცხლო ინტერესების ძალით იძულებული იქნება მხარი დაუჭიროს სერბიის მოთხოვნილებასო.

**შიშის ზარი გალიციაში.**

ვენიდან ცნობაა: გალიციაში შიშის ზარი იზრდება: ასიგნაციებს (ქაღალდის ფული) ოქრო-ვერცხლზე ახურდავებენ, იმზადებენ სანოვაგეს, აუქმებენ სავაჭრო ხელ-შეკრულობებს; გლეხები საჩქაროდ ჰყიდიან საქონელს - საბადებელს; გადასახლებამ იმატა. პოლონელთა კლუბმა მოწოდება გამოსცა, რომლითაც მცხოვრებთ დამშვიდებას ურჩევს.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

**საზღვარ-გარედ**

25 ნოემბერი.

**ძლიერი ცეცხლი.**

**ხანკოუ.** გადაიწვა ლიტვინოვის ფაბრიკა. კუზნეცოვის, გუბკინის ფაბრიკები და მთავარი კორპუსი ცეცხლისგან გადაარჩინეს

**ბატენბერგის წარმატება.**

**ლონდონი.** ადმირალი პრინც ლუდვიგ ბატენბერგი საზღვაო პირველ ლორდად დაინიშნა.

**ჩინეთის ახალი კაბინეთი.**

**ტოკიო.** კორეის გენერალ-გუბერნატორს გრაფ ტერაუჩის მიანდეს კაბინეთის შედგენა.

**რუსეთის ელჩის გარდაცვალება.**

**შტუტგარტი.** გარდაიცვალა რუსეთის ელჩი ბარონ სტოლ-ფონ-ჰოლშტეინი.

**ჩინეთის სამზადისი.**

**პეკინი.** გაზაფხულზე ჩინეთი მონღოლიაზე აპირებს იარაღით წასვლას. ამის გამო ქალ. კუიუხუაჩენში სამხედრო წესებია გამოცხადებული.

**დაშნაკცუტუნების პროკლამაცია.**

**თეირანი.** დაშნაკცუტიუნთა პარტიის ცენტრის კომიტეტმა გამოსცა პროკლამაცია, სადაც მთავრობას უცხადებს საკონსტიტუციო წეს-წყობილების აღდგენის შეუსრულებლობის გამო.

**სუფრაჟისტების დემონსტრაცია და მუშათა გაფიცვა.**

**ლონდონი.** ღალსტონში ირლანდიის ლიდერი რედმონდი სიტყვას ამბობდა სუფრაჟისტები ხელს უშლიდნენ ორატორს უწესოებას ახდენდნენ. სუფრაჟისტები სხდომიდან დაითხოვეს. გაიფიცა 3.000 რკინისგზის მოსამსახურე.

**ელექტრონის სადგურის დაწვა.**

**პარიზი.** დაიწყო სენ-დენის ელექტრონის სადგური. პარიზის მრავალი უბანი გაუნათებლივ რჩევა.

**სამხედრო წესები შიდა მონღოლიაში.**

**მუკდენი.** შუამდგომლობაა აღძრული შიდა მონღოლიაში სამხედრო წესების შემოსაღებად.

**რ უ ს ე თ ი**

**გაზეთების დაჭერა.**

**პეტერბურგი.** გაზეთი „სტალიჩნიე ოტკლიკი“ ბეჭვდის საქმის კომიტეტმა დაიჭირა.

**მატარებელზე თავდასხმა**

**დონის-როსტოვი.** კავკავის რკინის გზაზე ყაჩაღთა ბრბო თავს დაეცა საფოსტო მატარებელს. მეარტელეს 55.000 მანეთი წაართვეს. დასჭრეს თვით მეარტელე და სამი მგზავრი.

**ვარშავის არხიეპისკოპოზის გარდაცვალება.**

**ვარშავა.** გარდაიცვალა ვარშავის არხიეპისკოპოზი შიკენტი პოპელი.

**სიკვდილის განაჩენი.**

**ეკატერინოდარი.** სამხედრო სასამართლომ გაარჩია ყაჩაღთა საქმე. 8 კაცს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა.

**მუშათა დაზღვევის საკითხი.**

**პეტერბურგი.** ვაჭრობის მინისტრის თავმჯდომარეობით მოხდა მუშათა დაზღვევის კომიტეტის კრება.

**რედაქტორის სამართალში მიცემა.**

**მოსკოვი.** „რუსკია ვედომოსტის“ რედაქტორი სამართალშია მიცემული.

**სახელმწიფო ბანკი ფინლანდიაში.**

**პეტერბურგი.** ფინანსთა მინისტრმა მინისტრთა საბჭოში შეიტანა წინადადება.

სახელმწიფო ბანკის მოქმედება ფინლანდიაშიაც იქმნას გადატანილით.

# თეატრი და ხელოვნება

**ლანჩხუთი.** ოთხშაბათს 21 ნოემბ. ადგილობრივ თეატრში მსახიობ ქ. მარო მდივნის მონაწილეობით ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს ხინოშვილის „სოფლის გმირები“ ანუ „ტარიელ მკლავაძე“ დრ. ოთხ მოქ. ირეთელისა. სპირდონის როლს ასრულებდა ბ. კ. ჟღენტი, რომლის ბუნებრივი მიხვრა-მოხვრა, ტანადობა შეეხამებოდა ნამდვილ სპირდონ მცირიშვილს.

ტარიელის როლს ასრულებდა ლადო ჯაფარიძე, რომელმაც თავისი მხატვრული მოქმედებით. უხაკლულოდ შეასრულა ტარიელის როლი, რის გამო დამსწრე საზოგადოებამ ხანგრძლივი ტაშის ცემით დააჯილდოვა.

ანიკოს როლში გამოვიდა ქ. მ. მდივანი, რომელმაც მშვენიერად შეასრულა ანიკოს როლი.

უნაკლულოდ შეასრულეს აგრეთვე თავიანთი როლები ბ.ბ. ძ. რ-ვიამ, ირაკლის როლში. ე. ებრაელიძემ მედუქნის არტისტმა დ. ქანტურიშვილმა კნიაზის. დედის როლის ამსრულებელთ ქ. დარჩია სუსტი იყო. სასურველია ხშირად გაიმართოს ხოლმე წარმოდგენები. **გარეშე.**

# ღია ბარათი

**გაზ. „თემის“ ხელმძღ. და თანამშრომლებს.**

„ჩხუბის დროს ისეთ სიტყვას ნუ იტყვი, შერიგების დროს შეგრცხვეს“, ამბობს ხალხი, და ეს დარიგება არც „თემის“ ხელმძღვანელს და მის თანამშრომლებს უნდა ავიწყდებოდეს. მით უმეტეს ისეთ საქმეში, როგორც პრესა და პოლემიკაა. ადამიანი, რომელიც დღე და ღამ იმას გაიძახოდა, პიროვნება წმინდა რამ არის, ყოველივე სპირადო პოლემიკაში საზიზღრობაა, უნდა ვებრძოლოთ ასეთ „კალმოსნებს ჩვენშიო“, დღეს გამომდგარა და განურჩევლად ერთი მეორეზე ათავსებს თავის გაზეთში, როგორც თავის საკუთარ, ისე სხვის ღვარძლიან წერილებს. რაც შეეხება აკაკის კანდიდატურას, იმის გარშემო ასეთი ალიაქოთი არც კი უნდა ატეხილიყო, რადგანაც არა გვგონია თვით აკაკიც სერიოზულად დაინტერესებული ყოფილიყოს თავის არჩევაში და არც ისე ღრმა წყლულად დააჩნდებოდა მის გულს ეს აურჩევლობა, რადგანაც, თუ არ ვცდებით, ეს ერთად-ერთი მაგალითი არ არის. ამის მსგავსი რამ უწინაც მომხდარა. მაგრამ აკაკისადმი სიყვარული და პატივისცემა არავის შემცირებია და მისი მნიშვნელობა და ღვაწლი არავის დავიწყებია. ასე რომ, „თემის“ გამოსარჩლება დათვური სამსახურია და მეტი არაფერი.

დიახაც დასაფასებელია, რომ აკაკის ზოგიერთმა თაყვანისმცემელმა მისთვის თავი გამოიდო, მაგრამ მათ პროტესტს გულუბრყვილობის ბეჭედიც აზის და გრ. დიასამიძისა და „თემის“ თანამშრომლებისაგან, **რაც უნდა იყოს,** მეტი შეგნება და აზრის მოწიფულობა იყო მოსალოდნელი.

მაგრამ, როდესაც ყოველივე ამის მიუხედავად, გ. დიასამიძემ და მისმა თანამოაზრეებმა მაინც ხელზე დაიხვიეს ბ. ბ. სილოვანის, არჩილ ჯორჯაძის და „სახალ. გაზ“ თანამშრომელთა სრულიად სამართლიანი აზრი არჩევნების შესახებ და ასეთ უკიდურეს ექსცესებამდისაც მივიდნენ, ჩვენ არ შეგვიძლიან არ მოვაგონოთ მათ, რომ ყოვლად შეუწყნარებელია აკაკის სახელით სპეკულიაცია. რაც უნდა ეცადონ „თემის“ ხელმძღვანელ-თანამშრომელნი არჩილ ჯორჯაძის ნათელ, პატიოსან პიროვნებას და სილოვან ხუნდაძის გულწრფელობას, ჩრდილს ვერ მიაყენებენ და ვერც ასეთი თეატრალური გამოსარჩლებით დაჩრდილავენ თავიანთ პოლიტიკურ უსუსურობას, სხვა კიდევ, მეტი რომ არა ვსთქვათ.

ბ.ბ. არჩილ ჯორჯაძისა და სილოვანის მოღვაწეობა და გულწრფელობა უფრო სანდო საბუთია მათი პატივსაცემად, ვიდრე „თემელების“ საეჭვო ხასიათის განგაში.

ვიმეორებთ, ამის შესახებ არც უნდა ატეხილიყო ლაპარაკი, მაგრამ რადგანაც „თემმა“, საკითხს ასეთი რამ არა საკიდრისი ხასიათი მისცა, არ შეგვიძლიან ჩვენი უკმაყოფილება და გულისწყრომა არ გამოვაცხადოთ „თემელების“ წინააღმდეგ. ამასთანავე მეგობრულს სალამს ვუძღვნით ღრმად პატივცემულ პუბლიცისტს და უანგარო მოღვაწეს არჩილ ჯორჯაძეს, პედაგოგ სილოვან ხუნდაძეს და „სახ. გაზეთის“ „თემისაგან“ ათვალისწუნებულ თანამშრომლებს.

ხელს აწერენ: **შოთა დადიანი, პლ. ნანეიშვილი, ვასილ ქაჯაია. გ. ნანეიშვილი, ს. დადიანი, აკ. შანიძე, გ. თარხნიშვილი, ან. ლორთქიფანიძე, ნიკ. ყიფშიძე, ბექაჩიშვილი, ვლ. ცაგურია, მიხ. ქიქოძე, ს. ბეს. მდივანი.**

# წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ, რომელთაც თავიანთი წვლილი არ დაიშურეს ამ ზაფხულს ს. ჯიმითში ცეცხლისგან დამწვარ ორი კომლის სასარგებლოთ. შემომწირველთა სია: ნ. დარჩიაშვილმა, მ. გველესიანმა, ი. რაზვადოვსკიმ, პოლეშკუვმა, ბ. ბაწელაშვილმა, გ. ტოზაშვილმა, თავ. ი. ანდრონიკაშვილმა, ნ. ბერიძისამ, დ. ბეროშვილმა, მღვდლებმა: ირ. ცინცაძემ, გ. შიშნიევმა, გ. მაჭავარიანმა თითო მან.; პოლკ. ლ. ეგიკოვმა 1 მ. 50 კ.; თ. მთავრიშვილმა 5 მ. მღ. დ. სართანიძემ 6 მ.; ს. კუდინოვმა, ა. აბაზაძემ, ა. მარტაშვილმა, მღ. დემეტრაშვილმა, თ. ტერტეროვმა, ი. ხატიევმა, ი. ჩიგოგიძემ, დ. ანთაძემ, ტ. მჭედლიშვილმა, გ. შაიშმელაშვილმა, ი. სარაჯიშვილმა, ზ. რამაზაშვილმა, გ. გოლიგაშვილმა, მღ. ი. შავლიაშვილმა, აზ. დ. ზურაბაშვილმა, ი. მოსულიშვილმა, ირ. ტოგომ ათ-ათი შაური; ი. გომელაურმა 55 კ. მ. გურამაშვილმა, ნ. გომიაშვილმა, მღ. დ. ქოქიაშვილმა, მღ. ვ: ქოქიაშვილმა, ხუთ-ხუთი შაური; X—35 კ.; ნ. გვარამაძემ, გ. ათაბეგოვმა, ნ. სპელაშვილმა, მ. ნურაბოვმა, X, პოპოვმა, X—თითო აბაზი; ვ. სიყმაშვილმა 15 კ.; ი. მოსაშვილმა, ნ. ნაკაშვილმა, ს. ჩუბინაძემ, ი. ჩუბინაძემ, მღ. ჩილევმა, გ. დოსმიშვილმა, ი. ბაზ-რაშვილმა ორ-ორი შაური.

სტუდ. ეფ. **სართანიძე.**

**რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.**

# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მისვლა

(ზ ა მ თ რ ო ბ ი თ).

**15 ოქტომბრიდან.**

(დრო ღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** **სამგზ.-საბარგო** № 8, სად. ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106. საღ. 7 ს. 20 წ.

**ბათომისაკენ:** **სახ.** №№ 107, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

**ბაქოსკენ:** **ნარევ.** № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

**ერევანისკენ:** **სახ.-სახ.** № 8;7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

**ჯულფისკენ:** **საფ.** № 4;3, ღამ. 1 ს. 11 წ.

**ყარსისკენ:** **სახ.-საბ.** № 6;5, საღ. 8 ს. 10 წ.

**ბორჯომისაკენ:** **სახ.** № 9/10 6, ნაშ. 3 ს. 17 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან.** **ნარევ.** № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

**ბათომიდან:** **სახ.** № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

**ერევნიდან:** **ს.ხ.-საბ.** № 8;7, საღ. 5 ს. 28 წ.

**ყარსიდან:** **სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

**ჯულფიდან:** **სახ.** № 43, დილ. 8 ს.

**ბორჯომიდან:** **სახალ.** № 9/10 6, დილ. 11 ს. 22 წ.

**მიხაილოვიდან სურამში** **სახ.-საბარგ.** № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ.** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

**სურამ.-დან მიხაილოვში:** **სახ.-საბარ.** № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ.** № 62, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ.** № 68, საღ. 6 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 70, საღ. 8 ს. 26 წ.

**ქუთაისიდან რიონში:** **სახ.** № 77, დილ. 5 ს. 28 წ **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ **სახ.** № 81, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 ს 48 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

**რიონიდან ქუთაისს:** **სახ.** № 76, დილ. 6 ს. 25 წ. **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ** № 84, ღამ. 1 ს. 18 წ.

**ქუთაისიდან შორაპანს:** **სახალხო** № 29/30, ნაშ. 5 ს 23 წ.

**შორაპნიდან ქუთაისს.** **სახ.** № 27/28, დილ. 8 ს. 30 წ.

**ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს:** **სახ.** № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 п, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს 1 წ. **სახ.** № 8 п, ღამ. 9 ს. 10 წ.

**სამტრედიიდან ფოთში;** **სახ.** № 3 п, შუადღ. 1 ს. 5 წ. **სახ.** № 7 п. საღ 7 ს. 2 წ. **სახ.** № 5 п, საღ. 7 ს 59 წ. **სახ.** № 25 п, ნაშ. 6 ს. 18 წ.

**ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში.** **სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 ს. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ქობულეთ.-დან ბათომს:** **სახ.** № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

**ნატანებიდან ბათომს:** **სახ** № 17, ნაშუა. 5 ს. 20 წ.

**ბათუმიდან ქობულეთში.** **სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს 58 წ.

**ბათომიდან ნატანებს:** **სახ.** № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

**მიხაილოვ.-დან ბორჯომს.** **სახ.** № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

**ბორჯომ.-დან მიხაილოვში:** **სახ.** № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

**პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.**

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1— მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12 ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/I კლ. და ერთიც მე-III კლას. მატარებლის ნომრები 3 და 4.

**უფასო საექიმო დახმარება**

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

| უბნები | |
|---|---|
| 1—2 | **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592). |
| 3—4 | **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619). |
| 5—6 | **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4. ტელეფ. 680). |
| 6—7 | **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ. 1, ტელ. 715). |
| 8—9 | **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715). |
| 10. 11—12 | **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71. |

# გემების მიმოსვლა

(ზ ა მ თ რ ო ბ ი თ)

**15 ოქტომბრიდან,**

**შ ა ვ - ზ ღ ვ ა ზ ე.**

(დრო ტფილისის საათითაა აღნიშნული).

**„ვაჭრობა - ნავოსნობის“** საზოგადოების გემები.

**ბათომიდან გადის:**

1) პ ი რ დ ა პ ი რ ი, **საფოსტო** გემი **შაბ.,** და **კვირ.,** ღამ. 12 ს. 58 წ.

**ირგვლივ მოსიარულე:**

№ 1. **ოთხშ.**—შუა ღამის 1 ს, 58 წ.

№ 2. **პარასკეო.,** შუაღამის 1 ს. 58 წ.

№ 1. **სახ., შაბათ.,** ნაშუადღ 2 ს. 58 წ.

№ 2. **ორშაბ.,** ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ბათომში მოდის:**

**ოდესიდან** პ ი რ დ ა პ ი რ ი, **საფ., პარ.** დილ. 6 ს. 58 წ.

**ირგვლივ მოსიარულე:**

№ 1. **ორშ.,** საღ. 9 ს. 58 წ.

№ 2. **ოთხშ.,** საღ. 8 ს. 58 წ.

№ 1. **სამგზ., პარ.** საღ. 8 ს. 58 წ.

№ 2. **კვირ.,** საღ. 6 ს. 40 წ.

**კასპიის ზღვაზე.**

**„კავკაზი და მერკური“** საზოგადოების გემებისა.

**ბაქოდან გადის:**

**კრასნოვოდსკს,** ყოვ. დღე საღ. 4 ს. 40 წ.

**ენზელს** პ ი რ დ ა პ ი რ ი, **პარ.,** და **სამშაბ.,** ნაშუადღ. 4 ს 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

**ასტრახას, ხუთშ** ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

**ბაქოში მოდის;**

**კრასნოვოდსკიდან** ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.

**ენზელიდა** ორშ. და პარ., დილ. 60 ს. 5 წ.

**ასტრიდან** კვირ., ირგვლ. მოს. დილ. 4 ს. 44 წ.

**ქალაქის საავადმყოფოები**

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

**სასანიტარო ექიმები**

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-ოხიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქაჯანთაროვი** (სოლოლაკი. ამაღლების ქ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).

0. 11—12 **ვ. ა. მირზოევი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

# განცხადებანი


## ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

**„606“—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. ბეგბუტოვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო. ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ბვეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. ჭ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინ. კანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიანი** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ბვეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

საავადმყოფოს დირექტორი მედიცინის 1078 დოქტორი **ბ. ა. ნ ვასარდიანი.**

## საჭიროა არის მამული

**ს ა ს ყ ი დ ლ ა დ**

**5 ათას დესეტინიდან 10 ათას დესეტინამდე.**

**მისამართი:** გოლოვინის პროსპექტი, სასტუმრო „უნივერსალი“, № 2.

ვთხოვ დალალებს ნუ შეწუხდებიან. 828

## კურსისტი ქალი

ადესის ქალთა უმაღლეს სასწავლებლისა, (გათავებული აქვს ტფილისის წმ. ნინოს სასწავლებელი),

**✦● ეძებს გაკვეთილებს. ●✦**

მისამართი წერილით: ვეძინის ქუჩა, № 16. **ე. რ. ინდუაშვილისას.** 1613

**დიდი ხნის გამოცდილი მკერავი ქალი**

## ვღებულობ საკერავს

**ქალებისა და ბავშვების კაბებს.**

საქმეს ვაბარებ სუფთად. საჩქაროდ ძრიელ ნაკლებ ფასად აგრეთვე **ვიყვან შეგირდებს,** ვასწავლი მორიგების დაგვარად.

**მისამართი** ჭავჭავაძის ქუჩა № 17 **ხომასურიძე.** 1603.

## სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიმში, № 34, ფელდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწდომ ფასში, დღე-ღამე 2 მ. იან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და ჰოსპიტალ ახლდებს ყოველ დღე, დილის 1—2 ს.-მდე) მოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მი კირტუმოვი.** 1037.

## ფეხსაცმელები

**თომა დ. ჯანყარაშვილის**

**მაღაზია-სახელოსნოში.**

მუხრანის ქ. № 2.

ყოველნაირი: საკუთარი და პეტერბ. მეხანიკური ნაწარმოები.



683.

## მუხრანის კერძო სამკურნალო

**საწოლი კრაოტებით.**

19 თებერვლის ქუჩა, იგივე რიყე, № 48, ახალ მუხრ. ხიდის პირდაპირ, **ტელეფ. № 370.**

დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯად ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდეგ ე ქ ი მ ე ბ ი ს მიერ:

| | | დილით: |
|---|---|---|
| შინაგანი სნეულებანი, ბავშვთა და მეანობით. | **სპექტიორი გ. მ.** | 8½—9½ ს. |
| | **გაზაზოვი ა. ა.** | 10—11 ს. |
| | **იაშვილი ა. ო.** | 11—12 ს. |
| | **აბაკელია ი. კ.** | 12—1 ს. |
| | **ლოლობერიძე გ. მ.** | 12½—1½ ს. |
| სადოსტაქრო სნეულებანი: | **გრიგორიანი ა. ი.** | 11—12 ს. |
| | **მელკონიანი გ. ა.** | 12—1 ს. |
| | **ჯაში ი. ი.** | 9½—10½ ს. |
| საშარდე და გვამის სადოსტაქ. სნეულებ. | **გრიგორიანი ა. ი.** | 11—12 ს. |
| სნეულებ. საშვილოს. და საბებიო. | ექ.-ქალ. **საყვარელიძე დ. გ.** | 11—12 ს. |
| | **ლოლობერიძე** | 12½—1½ ს. |
| სნეულებ. ყურის, ყელის და ცხვ. | **შტრეიხერი მ. ა.** | 12 12½ ს. |
| ტყავის სნეული და ვენერ. სნეულ. | **შაპელნიკოვი გ. ი.** | 1½—2½ ს. |

**ფასი გასინჯვისა** 50 კ. საწოლი კრაოტი 3 მან. დღეში. ცალკე ოთახი 5 მან. ოპერაციები მორიგებით. **შეშხაპუნება წამლებისა „606“ და „914“, ყვავილის** აცრა, ელექტრონით წამლობა, ძიძის გასინჯვა, დაზელა (მასაჟი), მოწმობის შედგენა და სხვა, შეღავათიანი საფასურით. 58

## 23 ფასიანი ნივთი 3 მან. 45 კ.





1) კაცის ლამაზი, მკვიდრი ჯიბის საათი „ანკერი“ (ცილინდრი არ არის), ინგლისური. ფოლადისა, 15 ქვითა, და „ხრონომეტრით“ იმართება 36 საათში ერთხელ. შემოწმებულია ზედ-მიწევნით, ერთ წუთამდე. 8 წლის თავდებობა. 2) ორ-რიგიანი ლამაზი ძეწკვი. 3) ბრელოკი — კინემატოგრაფი საინტერესო სანახაობით ან კომპასი. 4) ზამშის ბუდე საათისათვის, რომელსაც გაფუჭებისაგან იფარავს. 5) მშვენიერი ბეჭედი „დუბლე“ პარიზულ ქვებით. 6—9) ჯიბის სატუალეტო ნესესერი ოთხი საინტერესო ნივთით. 10) საათის და აცველი ქურდებისაგან. 11) პარიზული „პლასტოგრაფი“, რომელიც ზევრნაირ სანახაობას აჩვენებს, 12—17) ამისათვის 6 მეტად საინტერესო სურათი. 18 ჯიბის ნიკელის საწერი მოწყობილება. 19, ლამაზი დავერცხლილი საწუმწუმე. 20) ინგლისის ფოლადისაგან გაკეთებული ჯიბის და საკეცი მაკრატელი. 21) საოჯახო სტამბა 100-მდე ასოთი და ციფრით თვით საბეჭდავად. 22) სრული მოწყობილობა სტამბისათვის. 23) ახალი მოდის ტყავის პორტმანი 6 განყოფილებით; ძალიან პტყელია და ჯიბეში ადვილი სატარებელი. ფასი მთელი გარნიტურისა 3 მ. 45 კ. ორი გარნიტურისა 6 მ. 45 კ. ფასი ასეთივე გარნიტურისა უმაღლეს ხარისხის ნივთებით პრტყელი საათით 4 მ. 45 კ. ფასი ორი გარნიტურისა 8 მ. 45 კ. დახურული საათი ან ქალის საათი ყველა თავისი მოწყობილობით 1 მ მეტი. გადაგზავნა 40 კ., ციმბირში 75 კ. ფასდადებით იგზავნება უბეოდ. უფასოდ 8 მანეთად ღირებული საინტერესო პრემია.

**ადრესი:** Т ву „Патентъ“, варшава, Св. Креста № 48, отд. 73.

Метцль. 61378. 1594

## გამოსულია და იყიდება ი. გედევანიშვილის პიესა „გამცემი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

**გამოსულია და იყიდება**

## არჩილ ჯორჯაძის თხზულებანი

| | | | |
|---|---|---|---|
| I ტ | „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ | ფასი | 75 კ. |
| II „ | „ჩვენი საზოგადოებრივობა | „ | 80 კ. |
| III „ | „ნააზრევი“ | „ | 65 კ. |
| IV „ | „წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. | „ | 85 კ. |

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,

**ქვირითის** (კეტოვ.) **ხიზილალა,**

თევზის მრეწველნი

## ძმ. ძებველოვები.

**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.**

1131

გამოსული ქერჩის **სელიოტკები,**

და ყოველგვარი **კონსერვები.**

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თართი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მოხარშული დოში, ზურგიელი,** და ყოველგვარი

✦ **შავი ხიზილალა** ✦


ტფილისი, მუხრანის ქუჩა, № 12 სტამბა „შრომა“.